

უნივერსიტეტი გვილოცავს!

ნათო მოკლაკა

ახალი წლის მოახლოებას, იმედების გაღვივებას რომ იწვევს ჩვენში, პირველ რიგში, ამიტომ ველით სულმოუთქმელად. სიახლის მოლოდინის განცდას საუნივერსიტეტო საზოგადოებას ახალი რექტორის არჩევაც უქმნის. უკვე გაცხადდა, რომ უნივერსიტეტის პირველი პირი საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს და უნივერსიტეტში აქამდე მეტ-ნაკლებად დაფასებული შრომის სათანადოდ ანაზღაურებას აპირებს. ასე რომ, პროფესორის სამომხმარებლო კალათა ახალი წლიდან შეიძლება გაივსოს, თუ, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში შესაბამისი რესურსი გაჩნდა. სტრუქტურა სახალწლო განწყობის შექმნისთვის

კი თსუ-ის სტრუქტურმა თვითმმართველობამ იზრუნა. კლუბ „ტრიუმფში“ მისი ორგანიზებით გრანდიოზული საახალწლო წვეულება მოეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიება 2600 ახალგაზრდაზე იყო გათვლილი, „ტრიუმფში“ გამართულ წვეულებას 3000-მდე სტუდენტი დაესწრო. მათთვის მხიარული განწყობის შექმნაზე სპეციალურად მონეული დავით ილურიძის ბენდი და მომღერლები ნოდუკო ტატიშვილი და სალომე ბაკურაძე ზრუნავდნენ.

წინასახალწლო წვეულების მონაწილენი თსუ-სთან ახლახან შემოერთებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც იყვნენ.



მა-3 გვირგვინი

გზავნილი რეკტორს

თსუ-ის დეკანოზისა და ადმინისტრაციის სამომავლო გეგმა

მა-7-10 გვ.

ანტიკური საქართველოს ქიბაში

მა-4 გვირგვინი

სტუდენტური პარლამენტი პარლამენტარიზმის იდეისთვის

მა-5 გვირგვინი

როცა წარმატება ხელის განვდინა

მა-5 გვირგვინი

ქართული სოკრატე – უცნობი მერაბ მამარლაშვილი

მა-6 გვირგვინი

მან შექმნა ეპოქა ფიზიკის ისტორიაში

მა-6 გვირგვინი

„სუნიშვილებიდან“ უნივერსიტეტში

მა-12 გვირგვინი

სულისთვის დროულად მიწოდებული „აპი“

მა-13 გვირგვინი

შემოქმედების გზამკვლევი „ლიტერატურული სალონი“

მა-15 გვირგვინი

თსუ-ის ფინანსური დამოუკიდებლობა — ავტონომიურობის გარანტი

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან ალექსანდრე კვიციანიანთან



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რექტორი აირჩია. სანდრო კვიციანიანი აკადემიური საბჭოს 12-მა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი. უნივერსიტეტში აირჩიეს რექტორი, რომელმაც პროგნოზულად დაიწყო საუბარი უნივერსიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებებზე. მან სტრუქტურულ ორიენტირებული გარემოს შექმნის საჭიროებასთან ერთად, გამოკვეთა უნივერსიტეტის პრესტიჟის უფრო მეტად ამაღლების აუცილებლობა მეცნიერების განვითარებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ფინანსური ნახალისების გზით. მისთვის მთავარი პრიორიტეტია უნივერსიტეტში სწავლობდნენ და ასწავლიდნენ ის ადამიანები, რომლებიც უნივერსიტეტის ავტონომიურობისთვის უფრო გაზრდიან. ახლად არჩეული რექტორის სამოქმედო კონცეფციას იხილეთ ამჟამად, რომ მისადმი განწყობა უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა უმრავლესობას დადებითი აქვს.

ბრობო (რადგან ჯერ არც ვიცით — რომელ ეტაპზე ვართ), მაგრამ ამ მიზნის მიღწევა გარკვეული ათვისების ნერტილიდან უნდა დაიწყოთ. რაც შეეხება მოკლევადიან პერსპექტივას, ჩვენ დღეს გავიჭირდება სერიოზული კონკურენცია გავუწიოთ ევროპისა და ამერიკის დიდ სკოლებსა და უნივერსიტეტებს, სანამ მათ ტექნოლოგიური აღჭურვილობით ჩამოვრჩებით. მაგალითად, საქმის წარმოებაში აუცილებელია დავნერგოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც გაცილებით შეამცირებს იმ ბიუროკრატია, რაც, ბუნებრივია, გამაღიზიანებელია სტუდენტებისა და თსუ-ის პერსონალისთვის. ამიტომ ტექნოლოგიური გადაიარაღება იქნება დროულად მოსაგვარებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. საქმის წარმოება ახალ ტექნოლოგიებზე ნელ-ნელა უნდა გადავიყვანოთ, რაც, სავარაუდოდ, იანვარ-თებერვალში უნდა გაკეთდეს.

პრიორიტეტია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაც, რასაც ფინანსური ინვესტიცია სჭირდება. პირველი კორპუსი უმაღლეს დონეზე კეთდება და ამაზე უკეთესს, ალბათ, ვერც ვინაგრებდით. ასევე, დაიწყება მეორე კორპუსის გარემონტება. რაც შეეხება IV, V, VI, VIII კორპუსებს, მათ ხელის შევლება სჭირდებათ. ძალიან ბევრი გაკეთდა ბიოლოგების კორპუსსა და მალევე კორპუსში. ისევ არსებობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პრობლემა — რა ვუყოთ იმ მენობას, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია?

გარდა ამისა, გვინდა, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ უნივერსიტეტის პოტენციალი კომერციული საქმიანობის თვალსაზრისით. მაგალითად, უნივერსიტეტს არ გააჩნია წიგნების მალაზია, სადაც წიგნებთან ერთად გაიყიდება მისიურები უნივერსიტეტის ლოგოს გამოსახულებით, რაც დამატებით შემოსავლის წყარო გახდება. სერიოზული პრობლემა ისიც, რომ უნივერსიტეტს არ აქვს სტამბა. გარეთ წიგნების ბეჭდვა დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული, საკუთარ სტამბაში კი შევძლებთ, როგორც ჩვენი, ისე სხვა ავტორების წიგნების ბეჭდვასაც, რაც დამატებით თანხებს მოიზიდავს. კომერციული თვალსაზრისით ვუდგებით თსუ-ში მოქმედი ენების ცენტრის პოტენციალის ათვისებასაც.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ენების ცენტრი უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ყალიბდება...

ეს ჯერ იდეაა, მაგრამ ენების ცენტრს შეუძლია გარე სექტორში იმუშაოს, თავი შეინახოს და უნივერსიტეტს დაფინანსების დამატებითი წყაროც გაუჩინოს. საქმისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, რომ უნივერსიტეტი იყოს ფინანსურად ძლიერი, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ იგი თავისუფალი გახდება გადამწყვეტილების მიღებაშიც — საით წავიდეს? რა განავითაროს?

დიდი იმედი მაქვს, რომ უზარმაზარი ისტორიისა და გამოცდილების მქონე ინსტიტუტები, რომლებიც შემოგვიერთდნენ, მეცნიერების განვითარების კუთხით ძალიან დაგვეხმარებიან.

მა-3 გვირგვინი

გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგები



ბოლო პერიოდში არა ერთი ანალიტიკური მიმოხილვა, სერიოზული მეცნიერული კვლევა თუ პოპულარული საგაზეთო სტატია დაეთმო გლობალური ეკონომიკური კრიზისის საკითხს, რომელიც მართლაც მოითხოვს ექსპერტთა სერიოზულ მსჯელობასა და კრიტიკულ ანალიზს.

თამარ ღალიანი

მსოფლიო ბანკის რეგიონული დეპარტამენტის დირექტორი ასად ალამი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. ბაზონმა ასადმა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 15 დეკემბერს პირველი სემინარი გამართა თემაზე: „გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგები სამხრეთ კავკასიაში“.

სემინარის გახსნას თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ელენე ხარაბაძე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

ასად ალამმა საინტერესოდ ისაუბრა გლობალური ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, მისი განვითარების თავისებურებებსა და ტენდენციებზე, გავლენის სფეროებსა და, საბოლოოდ, მისი დაძლევის გზებზე სამხრეთ კავკასიაში.

„მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები ფლობდნენ ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების შესახებ. ამ სფეროში ყველა ახალი ინიციატივის განხილვაში მათი ჩართულობა აუცილებელია. ვფიქრობ, ეს სემინარები ახალგაზრდებისთვის მეტი ინფორმაციის მიღების საშუალება იქნება. სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური კრიზისი ექსპორტისა და უცხოური კაპიტალის შემოდინების ვარდნამ განაპირობა, შედეგად ეკონომიკური

ზრდა სერიოზულად შეფერხდა. პარალელურად, გაიზარდა სიღარიბე და უმუშევრობა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის მსგავსად, კრიზისმა საქართველოზეც ნეგატიურად იმოქმედა. კერძოდ, შემცირდა საზღვარგარეთიდან კაპიტალის შემოდინება, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც, წარსულში, საქართველოში შთამბეჭდავმა ეკონომიკურმა რეფორმებმა მოიხიდა.

კრიზისის დაძლევის მიზნით, უმეტეს ქვეყნებში დაწყებულია ფისკალური კონსოლიდაცია, აუცილებელია ახალი საქონლისა და ბაზრების გამოვლენა, აქტიური ბრძოლა შეზღუდული უცხოური კაპიტალის მოსაპოვებლად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ დანაზოგებსა და ინვესტიციებს, უნდა ვისწავლოთ რისკების მართვა. გლობალური ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო!“ — განაცხადა ასად ალამმა.

სემინარის მოსმენის შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია, რომელიც სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და მონვეულ სტუმარს ამ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ანალიტიკური ცოდნისა და ანალიზის საუკეთესო მაგალითი უჩვენეს.

ასეთი დიდი რაოდენობის სპეციალისტის სემინარები, რომელიც სამხრეთ კავკასიაში გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენასა და შედეგებს შეეხებოდა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მართლაც რომ უპრეცედენტოა.

საქსტატთან მემორანდუმი

თამარ ღალიანი

ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისა და სტუდენტთა პრაქტიკული დაოსტატების მიზნით, 20 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ჭელიძემ და თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიციანიძემ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი განსაზღვრავს ხელმოწერ მხარეთა შორის თანამშრომლობის პრინციპებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს შორის.

მემორანდუმის მიზანია საქსტატის სისტემაში სტუდენტების აქტიური ჩართვა და მათთვის სასწავლო პრაქტიკის და სტაჟირების შეთავაზება. თანამშრომლობის ფარგლებში საქსტატის წარმომადგენლები თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური სტატისტიკის კათედრასთან მეთოდოლოგიურ საკითხებზე იმუშავენ და მნიშვნელოვანი სტატისტიკური პროექტების განსახორციელებლად ერთობლივ სამუშაო ჯგუფებს ჩამოაყალიბებენ. საქსტატი უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის

პროგრამის მაგისტრანტების სასწავლო პრაქტიკასა და სტაჟირების გავლას.

„სტუდენტებს საშუალება ექნებათ — გამოიყენონ საქსტატის რესურსები, გამოცდილება და დაუფლონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სტუდენტები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას ეკონომიკური განვითარების ზოგადი მარკენალების შესახებ, რის შემდეგაც მათ საშუალება ექნებათ უფრო ეფექტურად განახორციელონ სხვადასხვა ეკონომიკური საკითხების კვლევა და ანალიზი. იმედი მაქვს, რომ საქსტატთან მჭიდრო თანამშრომლობა მალე დადებით, პრაქტიკულ შედეგებს მოგვითმის“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიციანიძემ.

საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ჭელიძემ, მემორანდუმის საფუძველზე, მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა და აქტიური დიალოგის გაგრძელება აღუთქვა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

„არსებული მოთხოვნის მიხედვით, ჩვენი ვიდეო ვალდებულებას, თსუ-ს პერიოდულად მივანოდოთ სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია, უზრუნველყოთ თსუ-ის აკადემიური პერსონალის სტატისტიკურ კვლევებში ჩართვა და მალაქვალიფიციური კადრების მომზადება“, — აღნიშნა შეხვედრაზე ბატონმა ზაზა ჭელიძემ.



აკცენტი

აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატის ფონდი იზრდება



29 დეკემბერს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე თსუ-ის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის დასამტკიცებლად განხილვა გაიმართდა. პროექტით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან ასპექტებზე გვესაუბრება თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია:

— ამ დღეებში, 10 ოქტომბერს თსუ-ის მეორედ არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს ახალი შემადგენლობა თსუ-ის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტს განიხილავს. მინდა ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილო: ახალი წლიდან,

თსუ-ის ექვსივე ფაკულტეტზე, აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატის ფონდი იზრდება, ანუ სულ უფრო და უფრო მეტ პროფესორს ექნება საშუალება დანამატის მიღებისა, ხოლო იმ პროფესორებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ეს დანამატი, შესაბამისი დატვირთვის შემთხვევაში, გაეზრდება.

ერთიანდება ნიჭიერ სტუდენტთა და მაგისტრანტთა დაფინანსების მიზნით არსებული ფონდები. დაახლოებით, 600 ათასი ლარი მოხმარდება როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებს. ბიუჯეტში ცალკე მუხლად რჩება დოქტორანტების დაფინანსება, რაც ახლო მომავალში გაიზრდება. მნიშვნელოვანია, ასევე, გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა რაოდენობისა და მათზე გამოყოფილი სასტიპენდიო ხარჯების ზრდაც. დაგეგმილია უფრო მეტი უცხოელი პროფესორის მოწვევა საზღვარგარეთის პრესტიჟული უნივერსიტეტებიდან, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩვენი უნივერსიტეტის დაახლოებას მოწინავე დასავლურ უნივერსიტეტებთან.

დარწმუნებული ვარ, რომ 2011 წელი უნივერსიტეტს შემდგომ წარმატებებს დაწინსვლას მიუტანს. იქნება არაერთი წინგადადგმული ნაბიჯი იმ გზაზე, რასაც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში პირველი კავკასიური უნივერსიტეტის ინტეგრაცია ჰქვია.

ორიენტაცია ინტეგრაციის პროცესში

დავით ჩოხახიძე, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

— გასული წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა. საუნივერსიტეტო საზოგადოებამ იცის, რომ სულ ცოტა ხნის წინ შემოგვიერთდა 2 უმაღლესი სასწავლებელი (თბილისის ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსუ) და ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი და 12 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რაც ადმინისტრირების კუთხით საკმაოდ რთული პროცესია. ამიტომ ჩვენი ყურადღება, სხვა ადმინისტრაციულ საქმიანობასთან ერთად, შემოერთებული ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებისაკენ იყო მიმართული. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შემოერთებით ჩვენი პერსონალის რაოდენობა და სტუდენტთა კონტინგენტი გაიზარდა და ადმინისტრაციის მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრა — განახორციელოს ყველა ის ღონისძიება, რაც უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართავს შეუწყობს ხელს. ეს პროცესი მომავალ წელსაც გაგრძელდება და ერთ-ერთი პრიორიტეტული იქნება.

ჩვენი სურვილია, კიდევ მეტად გავაუმჯობესოთ სასწავლო გარემო, რათა სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს მაქსიმალურად დაეუწყაყოფილოთ მოთხოვნები მაღალი ხარისხის სწავლებისა და სწავლისთვის. ამ მიზნით დაწყებული სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება, რათა მაღალ



დონეზე ავიყვანოთ უნივერსიტეტის სტანდარტები. აკრედიტაციის მოთხოვნები დაკმაყოფილდება არა მინიმალური მონაცემებით, არამედ მაქსიმალურად და ეს არ არის მხოლოდ ამ მოთხოვნების შესრულებისთვის ბრძოლა, ეს გახლავთ სურვილი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპის წამყვან უნივერსიტეტთა გვერდით დადგეს.

უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციის პერსონალს ვუსურვებ მომავალ წელს მათთვის ბედნიერება, სიკეთე და წარმატებები მოეტანოს უნივერსიტეტისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

თსუ-ის ფინანსური დამოუკიდებლობა — ავტონომიურობის გარანტი

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან ალექსანდრე კვიციანიძესთან

პირველი გვერდიდან

— მათი ინტეგრაციის პროცესი რას მოუტანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, მიმართულებებს?

— ფაკულტეტებს მიეცემათ ამ ინსტიტუტების ბაზების გამოყენების საშუალება, რაც, თავისთავად, ძალიან კარგია. მეორე მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მათი შემოერთებით აქცენტი მეცნიერებასა და მის განვითარებაზე კეთდება. ქვეყნის დღევანდელი ფინანსური რეალობიდან გამომდინარე, რთულია, რომ მეცნიერება მხოლოდ სახელმწიფომ დააფინანსოს. ჩვენთვის კი მას უზარმაზარი მნიშვნელობა გააჩნია. იმ უამრავ პროექტს, რაც ფინანსური მოგების თვალსაზრისით მიმზიდველია, დამატებითი სახსრები შემოაქვს ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. მეცნიერების განვითარებას უნივერსიტეტის ფარგლებში სჭირდება მუშაობა, მონდომება, სურვილი, რაც, მგონია, უნივერსიტეტში არავის აკლია.

— რამდენად საქმისადმი ასეთ მიდგომაზე საუბრობთ, საინტერესოა, მეცნიერების კომერციალიზაციის რა პერსპექტივაზე, რა პროექტებზე შეიძლება აქცენტის გაკეთება ჩვენი უნივერსიტეტის ფარგლებში?

— არსებობს პროექტების დიდი ნუსხა, რომელიც, ფინანსური მოგების თვალსაზრისით, მართლაც, საინტერესოა. უნდა დაიხვეწოს და გაიზარდოს ტექნოლოგიური კვლევების მოცულობა, რაც მეცნიერების კომერციალიზაციის და წარმოების დონეზე გასვლას ნიშნავს. მზა პროდუქტია კომერციულად მიმზიდველია ბიზნეს-სექტორისთვის ინვესტიციების განსახორციელებლად — ეს არის ის ნიშა, რომელსაც, შეიძლება, უნივერსიტეტი კარგად მოერგოს. სწორედ ამ გზით ვითარდება ძალიან ბევრ ქვეყანაში მეცნიერება: მაგალითისთვის მოვიყვან ისრაელის სამეცნიერო ცენტრებს, რომელთაც სამხედრო ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში სახელმწიფოს მიერ ჩადებული ფულმა უზარმაზარი უკუგება მისცა.

თუკი, საქართველოში ჯერ არ არის იმის კულტურა, რომ მეცნიერებაში კერძო ბიზნესმა ფული ჩადოს, არსებობს ბევრი საინვესტიციო ფონდი, რომლებიც მსგავს პროექტებს ეძებენ, რათა კომერციული მოგება თავად ნახონ. ეს ჩვენ თავისთავად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ უნივერსიტეტში დამატებითი თანხები შემოვიდეს და მეცნიერება დაეფინანსოს.

— გრანტების მოზიდვის ხელშეწყობას რა გზით აპირებთ?

— უნივერსიტეტში ორი ტიპის გუნდი ჩამოყალიბდება, რომლებიც კომერციულ სამეცნიერო პროექტებზე იმუშავენ. ერთი ჯგუფი ორიენტირებული იქნება პროცესში კერძო საფინანსო ინსტიტუტების ჩართვაზე, მეორე ჯგუფი კი მეცნიერებს პროექტების მომზადებაში დაეხმარება, ანუ სამეცნიერო ტიპის პროექტების ეფექტურად დაწერის თვალსაზრისით იმუშავენ. ჩვენ ეროვნული და საერთაშორისო გრანტების



რაოდენობით პირველ ადგილზე ვართ, თუმცა გვაქვს პოტენციალი, რათა საზღვარგარეთ არსებულ სამეცნიერო ფონდებთან კიდევ უფრო გაფართოვდეს კავშირი.

— რა იგეგმება ნიჭიერ სტუდენტთა წასახალისებლად? შემდგომში მათი დასაქმების კუთხით რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ?

— ნიჭიერ სტუდენტთა წახალისება — ეს ერთგვარი პოლიტიკაა ყველა ნორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დაწყებული ადრეულ ასაკში მათთვის სამუშაოს მოძიების მცდელობით, დასრულებული საზღვარგარეთ სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობით. ამ ყოველივეს განიხილავთ უნივერსიტეტი, ხოლო ნაწილობრივ სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტები უზრუნველყოფენ. ჩვენ გვინდა, მაქსიმალური აქცენტი გადავატანოთ უნივერსიტეტის შიგნით მოზიდულ სახსრებზე, რათა ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული დონორებზე, ან სახელმწიფოში არსებულ ფინანსურ სიტუაციაზე. წარჩინებულ სტუდენტთა თუ პროფესორ-მასწავლებელთა ფინანსური სტიმულირება აუცილებელია, ამიტომ ამ მიმართულებით სერიოზული ღონისძიებების გატარება გვინდა.

— რამდენად ჩემთვის ცნობილია, ის რამდენად პროფესორი, რომლებიც, მიზნითაა გამო, უნივერსიტეტის გარეთ დარჩენენ, თქვენი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნვის შემდეგ თსუ-ში პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას დაუბრუნდნენ. ეს პროფესორები ხაზს უსვამენ თქვენს პიროვნულ ფაქტორს და, იმედოვნებენ, რომ გარეთ დარჩენილ თუ სხვა სასწავლებლებს შეიზნულ ბევრ პროფესიონალს უნივერსიტეტი მოიწვევს. ეს თსუ-ის კონკურენტუნარიანობასაც გაზრდის. გაგრძელება თუ არა ეს პროცესი?

— თუკი ადამიანი უნივერსიტეტისთვის ღირებულია, თუკი მისი აქ მოღვაწეობით სტუდენტებს მაღალი დონის სპეციალისტებად ჩამოყალიბების საშუალება ექნებათ,

რა თქმა უნდა, ყველას მობრუნება შეიძლება. 5 წელიწადი მე თავად ვსწავლობდი უნივერსიტეტში და შემოიღია გითხრათ — მაშინ რექტორი რომ ვყოფილიყავი (რაოდენ სამუშაოზე ფაქტიც არ უნდა იყოს), იმ პროფესორთა ნახევარზე მეტს, ვინც მასწავლიდა, უნივერსიტეტში არ გავაჩერებდი. ამიტომ ჩვენთვის მთავარია, რომ აქ სწავლა მაღალ დონეზე მიმდინარეობდეს და საუნივერსიტეტო ცხოვრება სტუდენტის კეთილდღეობაზე მთლიანად ორიენტირებული იყოს. ყველას დაბრუნება შეიძლება, ვინც წვლილს შეიტანს ახალგაზრდების სპეციალისტებად აღზრდაში მიუხედავად იმისა, ნაწყენია თუ არა იგი უნივერსიტეტზე. ერთადერთი კრიტერიუმი უნივერსიტეტში სამსახურის დაწყებისა და სასწავლო პროცესში ჩართვისა იქნება ის, თუ რა ხარისხის ცოდნის გადაცემი შეიძლება იყოს იგი მომავალი თაობისთვის.

ჩვენ გვინდა, რომ შეიცვალოს უნივერსიტეტში მასწავლებლების დასაქმების პრინციპი. ბუნებრივია, კონკურსები დარჩება, მაგრამ შეიცვლება კრიტერიუმები. გვინდა ადამიანის შერჩევა იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს მას უკვე მზა კურსულუმი საელექციო კურსის კარგად წაკითხვის უნარი.

— 2011 წელი ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო წელია. როგორ გამოეხმაურება უნივერსიტეტი ჩვენთვის მართლაც ამ მნიშვნელოვან მოვლენას?

— რა თქმა უნდა, ეს წელი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო წელია. ამას ჩვენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებით აღვნიშნავთ: გაიმართება რამდენიმე კონფერენცია (მათ შორის სტუდენტური კონფერენცია) ქვეყნის მასშტაბით, დაგეგმილია კონცერტი, გამოვენა, რომელიც შეიძლება აკადემიასთან ერთად გაეკეთოს. ივანე ჯავახიშვილის იუბილე უნდა აღინიშნოს იმ დონეზე, როგორც მას ეკადრება და როგორც უნივერსიტეტს ძალუძს.

— ჩვენთვის საინტერესოა, თქვენ როგორი წარმოგიდგენიათ უნივერსიტეტის გაზეთი? რა მიმართულებებით უნდა გავაზიაროთ ყურადღება?

— მე მივეკუთვნები იმ თაობას, რომელიც გაზეთს, როგორც მკითხველი, ყურადღებას უთმობს. თვითონ ფორმატი, რა სახითაც გამოდის უნივერსიტეტის გაზეთი, თავისთავად, ძალიან კარგია და ეს ასეც უნდა იყოს. ყველა სერიოზულ დაწესებულებას აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც თავის სიტყვას ამბობს. საერთოდ, რთულია (როგორც იტყვიან) იმ ოქროს შუალედის დაჭერა, რომ ეს გაზეთი ერთნაირად მიმზიდველი იყოს როგორც პროფესორისთვის, ასევე სტუდენტისთვისაც. საუნივერსიტეტო გაზეთების გამოცემა საკმაოდ რთული საქმეა. ჩემი აზრით, გაზეთი ინფორმაციული უნდა იყოს და მასში აისახოს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები... გაზეთი ორიენტირებული უნდა იყოს როგორც პროფესორზე, ასევე, სტუდენტზე. ძალიან კარგი იქნება, თუ წახალისების კუთხით აქვე აისახება მათი ანალიტიკური-სამეცნიერო შრომები, ანუ, მიმაჩნია, რომ გაზეთი ნახევრად სამეცნიერო, ნახევრად საინფორმაციო ტიპის უნდა იყოს. ვფიქრობ, თქვენი გაზეთი ამას კარგად ართმევს თავს და, ამჯერად, რაღაც განსაკუთრებული წინადადებები წამდვილად არ მაქვს.

მინდა, ყველას, ვისაც აქვს და შქონია უნივერსიტეტთან შეხების ნერტილი, მივულოცო ახალი წელი!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე რიგითი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება. იგი უზარმაზარი დადებითი მუხტის მატარებელია. უნივერსიტეტი, ხშირ შემთხვევაში, ქართველი ერის გამაერთიანებელია. რაც მთავარია, უნივერსიტეტმა, დღიდან დაარსებისა, უზარმაზარი როლი ითამაშა ქვეყანაში მეცნიერების განვითარების მხრივ. ეს ფუნქცია მან კვლავაც უნდა შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გააძლიეროს. ჩემთვის მართლაც დიდი პატივაა უნივერსიტეტის რექტორის რანგში ყოფნა და ვთვლი, რომ ბევრ ჩვენგანს, რომლებიც დღეს უნივერსიტეტში ვმუშაობთ (ვსწავლობთ თუ ვასწავლით) ძალიან გავგიმართლა. მაგრამ ეს არ არის საფუძველი იმისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ სიამაყის გრძობას „შევატოვოთ“ ადამიანები და შესაბამისი მატერიალური ანაზღაურების გარეშე ვუძახოთ, რომ მენტის დიდი ამბავია, რომ აქ სწავლობ, ასწავლი ან მუშაობ. უნივერსიტეტის ლიდერობა გამოიხატება არა მარტო მისი სახელით და იმ წვლილით, რაც მას ქვეყნის განვითარებაში შეაქვს, არამედ იმითაც, თუ რამდენად ნორმალური სამუშაო პირობებია შექმნილი მის წიაღში. ამიტომ მინდა, ყველას ვუსურვო, რომ მომავალი წელი მატერიალურად მომძლავრების წელი იყოს, რათა უნივერსიტეტი ფინანსურად დამოუკიდებელი, ძლიერი ორგანიზაცია გახდეს და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება შეძლოს.

ჩემთვის ახალი წელი იმედთან ასოცირდება. ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრ სიახლეს, რომელიც უნივერსიტეტში განხორციელდება, დადებითად მიიღებენ როგორც სტუდენტები, ისე ჩვენი პროფესორა.

მოამზადა ნინო კაკულიამ

უნივერსიტეტი გვილოცავს!

პირველი გვერდიდან

„თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ჩვენს სტუდენტებს სურპრიზი მოუწყო, რისთვისაც მადლობს მინდა გადავუხადო დარჩი გუბაქესა და თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დავით ჩომახიძეს. წინასწარ ვულოცავ ყველას ახალ წელს და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ. დრო, მართლაც, არაჩვეულებრივად გავატარეთ“ — განაცხადა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა, ამაჟამად კი თსუ-ის სტუდენტმა მათა მერმანიშვილმა.

ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით თსუ-ის ორგანიზებით კიდევ რამდენიმე ღონისძიება გაიმართება. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი 29-30 დეკემბერს პატარებისთვის კარნავალს მართავს, სადაც ისინი თოვლის ბაბუისგან და სანტა კლაუსისგან საჩუქრებს მიიღებენ. კარნავალზე თეატრალური დასი „სხვენი“ წარმოდგენას გამართავს, რომელიც ბავშვებიც მიიღებენ მონაწილეობას. თსუ პატარებს უნივერსიტეტის VIII კოპრუსის დარბაზში უმასპინძლებს. როგორც კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა მათა ლომინიშვილმა ვეცითხრა, 29-30 დეკემბერს თსუ-ის 600 ბავშვიც სტუმრება.

„ძალიან ლამაზი საღამოს გამართვას ვგვამავთ. გაიმართება მინი სპექტაკლი, სადაც ყველა ჩვენი პატარა სტუმარი იქნება ჩართული. პატარების გახალისებაზე კლოუნები იზრუნებენ, მათ დაფურცებთ საჩუქრებსაც. თსუ-ის თანამშრომლების ბავშვებისთვის საახალწლო ზემის მოწყობა ჩვენთან უკვე ტრადიციაა. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი მათ უკვე მესამე წელია მასპინძლობს“ — ვეცითხრა მათა ლომინიშვილმა.

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი საახალწლო განწყობის შექმნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც არაერთგვარადაც ცდილობს. სწორედ ამ მიზნით, ახალი წლის დადგომის შემდეგ, 9 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისთვის რესტორან „ბერმუხაში“ წვეულება მოეწყობა და კონცერტიც გაიმართება, რომელშიც „თსუ გორდელა“, თსუ-ის ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“ მიიღებენ მონაწილეობას. უნივერსიტეტის წვეულებაზე მერაბ სეფაშვილიც იმღერებს.

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი საახალწლო ღონისძიებებს საქველ-

მოქმედო აქციით დააგვირგვინებს. მისი თანამშრომლები დღესასწაულის დადგომას მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის ბინადართ ახალ წელს მიულოცავენ და საჩუქრებსაც დაურიგებენ. ასე

რომ, ახალ წელს ვზეიმობთ და შეგიძლია ვთქვათ, რომ უკვე დროა, უსიამონოვრო განცდები ძველ წელს დავუტოვოთ, კარგი კი მომავალს შემოვუნახოთ წარსულის დასაფასებლად.



ანტიკური საქართველოს ქიებაუი

მეუცნობის შეცნობის წყურვილი კანტაძე გაახმოვანა, როცა დაუფარავად აღიარა, რომ ვარსკვლავებით მოჭრილი ცა ისევე აოცრებდა, როგორც სინდისის ხმა ადამიანში. ყველა ჩვენგანი კანტი არაა, მაგრამ ამ იდუმალის შეცნობის სურვილი ბავშვობაში ჩვენც გვიბიძგებდა, გვეოცრებდა კოსმონავტობაზე, მფრინავობაზე, ასტრონომიაზე... ვახტანგ ლიჩელიძე ასტრონომიაზე უნდოდა თურმე... მისი ცხოვრება კი ისე წარიმართა, რომ პარადოქსულად სანინალმდეგო განზომილებაში მოუწია მუშაობა. ის დღეს ცნობილი არქეოლოგი და, ვარსკვლავებისა და პლანეტების ნაცვლად, ადამიანთა მოდემის მინის მრეცხში ჩაკარგულ ისტორიას სწავლობს...

პირველად ვანის არქეოლოგიურ გათხრებზე მოხვდა... მაშინ თურმე ექსპედიციაში წასაყვანად სტუდენტებს ეძებდნენ და მეგობარმა ცნობილ არქეოლოგ ოთარ ლორთქიფანიძესთან გაუხსია რეკომენდაცია. სულ რაღაც ნახევარწუთიან საუბარს პროფესორის თანხმობა მოჰყვა და ვახტანგ ლიჩელიძე იმავე საღამოს 11-ის ნახევარზე სამტრედიისკენ მიმავალ მატარებელში იჯდა... აღმოჩნდა, რომ ამ გზაზე მისი ცხოვრების მომავალი განსაზღვრა — ამის შემდეგ არქეოლოგიის გარდა სხვა მეცნიერებაზე აღარ უფიქრია...

მანია ტორაძე

ასე მოვიდა ჩვენამდე დღეს უკვე აღიარებული მეცნიერი-არქეოლოგი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი, რომელმაც არა ერთ რელიქვიას მიაკვლია და არა ერთ ისტორიულ საიდუმლოებას ახადა ფარდა.

ვახტანგ ლიჩელის სამეცნიერო ინტერესები შეეხება: ელინისტური კულტურის დეფინიციას და მისი არსის კვლევას; ადრეული კონტაქტების კვლევას ეგვიპტურ სამყაროსა და კოლხეთს შორის — არქეოლოგიურ კონტექსტში; ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურულ-ეკონომიკურ კონტაქტებს გარე სამყაროსთან ძვ.წ. II-I ათასწლეულებში; სამცხის საკულტო ცენტრებს და კულტის ტრანსფორმაციის საკითხებს; წერილობითი წყაროების არქეოლოგიურ ექსპერტიზას; აქემენიდურ სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობას.

ვახტანგ ლიჩელმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში საქართველოში პირველად გამოიყენა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა (მაშინდელი კომპიუტერი) არქეოლოგიურ გამოკვლევებში. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის მიერ უკანასკნელ წლებში ძვ.წ. IV-ახ.წ. IV საუკუნეების არქეოლოგიურ ნივთებზე მიკვლევულ ნიშნებს, რომელიც მას პროტოქართული დამწერლობის ნიშნებად მიაჩნია.

პროფესორი ლიჩელი მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეა და მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია საქართველოსა და მსოფლიოს 17 ქვეყანაში.

გასული წლის ბოლოს, ბატონი ვახტანგის ინიციატივით, თსუ-ისა და ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ფიზიკოსებთან ერთად, პირველად საქართველოში, დაიწყო ექსპერიმენტების მრავალწლიანი სერია, რომლის მიზანია არქეოლოგიური ოსტეოლოგიური მასალის დათარიღების კომპლექსური მეთოდების შექმნა. კვლევების ამ ეტაპზე, სხვა მეთოდებთან შედარებით, პრიორიტეტი მიენიჭა ელექტრო პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდს. „ასეთი რამ ჯერ არ გავკეთებულა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რიგ ევროპის უნივერსიტეტებშიც. ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდი გულისხმობს ძვლოვანი მასალის „ფარეინი“ დათარიღებას. გვაქვს უკვე პირველი მონაცემები, რაც, ჩემი აზრით, სწორად დაგვემართა და ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგია. ახლა ჩვენ შეგვიძლია, ამ მეთოდით დავათარიღოთ ისეთი მასალა, რაც ან არ გვაქვს დათარიღებული, ან ხელახალ დათარიღებას მოითხოვს. ამ მეთოდს კიდევ დაემატება 4 სხვა მეთოდი. შესაბამისად, ერთი და იგივე ნიმუშის ექსპერტიზა უკვე 5 სხვადასხვა მეთოდით გაკეთდება. ეს იქნება უნიკალური შესაძლებლობა იმისა, რომ მივიღოთ ძალიან ზუსტი მეცნიერული შედეგები.“ — გვიამბო ვახტანგ ლიჩელი და მხოლოდ ამ სიახლის გაცნობის შემდეგ უპასუხა ჩვენს კითხვებს, რომელიც ამ ადამიანის მრავალმხრივი ნიჭის გაცნობისთვის უფრო დავსვით, ვიდრე მისი ისედაც ცნობილი მეცნიერული წარმატებების ჩამოსათვლელად...

— ბატონო ვახტანგ, თქვენ ბევრ ექსპედიციაში მიგიღიათ მონაწილეობა. რომელია მათ შორის განსაკუთრებული, ისეთი, რომელმაც ყველაზე მეტი ისტორიული ღირებულების ექსპონატი მოგცათ?

— ყველა მათგანი ღირებულია, რადგანაც ყველა გათხრებზე უამრავი საინტერესო მასალა მოპოვებული, მაგრამ ვანის ნაქალაქარი ჩემთვის მაინც სხვაა. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს სრულიად უნიკალური ძეგლია. მთავარი ისაა, რომ იქ ბატონი ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად დიდხანს ვიმუშავე, მის გვერდით გავიარე არქეოლოგიის უფრო დავსვით, ვიდრე მისი ისედაც ცნობილი მეცნიერული წარმატებების ჩამოსათვლელად...

გარდა ამისა, ვიმუშავე ქართლის ტერიტორიაზე, ძალისაში, სადაც სამუშაოებს შესანიშნავი არქეოლოგი ალიოზა ბოხორაძე აწარმოებდა. იქაც ბატონი ოთარის მითითებით მოხვდი. მას ასეთი პრაქტიკა ჰქონდა — სხვადასხვა ექსპედიციებში მიგვაპირებდა ხოლმე, რათა მეტი გამოცდილება მიგველო. ეს ძალიან მართებული გადაწყვეტილება იყო პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ახლა მეც ვცდილობ ასევე გავაკეთო და ჩემმა სტუდენტებმა ყველა პერიოდის ექსპედიციებში მიიღონ მონაწილეობა.

დიდი ხანი ვიმუშავე სამხრეთ საქართველოშიც — ბორჯომისა და ასპინძის რაიონებში. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხანს, როცა არჩევანი უნდა გამეკეთებინა, რომელ ძეგლზე მეტყუებოდა, ისევე სამხრეთ საქართველოზე შევჩერდი. ამ რეგიონში დიდი არქეოლოგები —

ოთარ ჯაფარიძე, ოთარ ლამბაძე, ტარიელ ჩუბინიძე, გენო ნასიძე და სხვები მუშაობდნენ, მაგრამ მათი ინტერესი ანტიკური ხანის ძეგლებს, ძველი ქართული ცივილიზაციისა და ურბანული ცივილიზაციის კვლევას არ შეეხებოდა. ამდენად, საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი — ანტიკური ხანა სამცხე-ჯავახეთში პრაქტიკულად სრულიად უცნობი იყო, ანუ დარჩენილი იყო უზარმაზარი თეთრი ლაქა ქართულ არქეოლოგიაში. სწორედ ამიტომ გადაწყვიტე, რომ შემერჩია ახალციხის რაიონის სოფელი აწყურა. წლების მანძილზე ჩატარებულმა გათხრებმა დამარწმუნა, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

— ამდენი წლის მუშაობის შემდეგ რა მეცნიერული შედეგები მიიღეთ აწყურის გათხრებიდან?

— „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულია: როდესაც ანდრია მოციქული აბასთუმნის ხეობაში შემოვიდა, გაჩერდა სოფელ ზადენში, სადაც ზადენის კერამიკა იხილა. მან ეს კერამიკა ცვიტა და მარია დღვისმშობლის ხატის შენეებით დაამხო. მე ზადენში, ანუ სოფელ ბენარაშიც ვიყავი. აქ არის გორა, რომელსაც ადგილობრივები დღესაც ზადენ-გორას უწოდებენ.



გაკეთეთ პირველი საცდელი თხრილი და გამოართლა — აღმოჩნდა ქანდაკების პოსტამენტი, რომელზეც მიდგომილი იყო საკურთხეველი. ამით რეალურად დადასტურდა ის ცნობა, რომ აქ მართლაც ზადენის კერამიკა უნდა მდგარიყო.

რაც შეეხება თვითონ აწყურა, ჩემი ინტერესი იყო, მიმეკვლია, მართლა არსებობდა თუ არა აქ ანდრია მოციქულის დროინდელი სა-მოსახლე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მაშინ, ანუ I საუკუნეში, აწყური სამცხის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო. აქ ცხოვრობდა სამცხის მმართველი, სახელად სამიძვარი.

ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი აქაც მართლად ინფორმაციას გვანდის — ჩვენ მივაკვლიეთ ძვ. წ. 6-ად VII-I საუკუნეების სამოსახლე ინტენსიური ცხოვრების კვალს, სადაც აშკარად ჩანს როგორც ამ ადგილის საკულტო, ასევე ადმინისტრაციული ფუნქციაც.

გარდა ნაგებობებისა, აქ აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის სამარხები, რომელთა შორის უძველესი ძველი ნელთალრიცხვის XVI საუკუნის განკუთვნილია. გარდა ბრინჯაოსა და კერამიკული ნივთებისა, აღმოჩენილია ოქროს ნივთებიც. ასევე აღმოვაჩინეთ ანდრია მოციქულის დროინდელი სამარხის ნაშთებიც. მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მოსახლეობა, სოციალური ფენებისა და უფლებების მხრივ, განსხვავებული იყო. კონფესიური თვალსაზრისით, სურათი ასეთია — ადგილობრივ ტრადიციებს ძვ.წ. 5-ად-ის IV საუკუნის მიწურულიდან ერწყმის აქემენიდური ირანიანი შემოსული ტრადიციები, რისი დასტურიცაა სრულიად უნიკალური მასალა. მაგალითად, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მცირე ქანდაკება, რომელიც, ჩემი აზრით, მითრას უნდა გამოსახავდეს. აქვე ვნახეთ დიდი რაოდენობით გიშრის ამულეტები. მათ შორისაა აპურამაზას — ზორიასტრული კულტის ყველაზე მაღალი ღვთაების გამოსახულება.

— სამეცნიერო საზოგადოებამ იცის, რომ თქვენ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ სტუდენტთა ექსპედიციებში ჩართვას. როგორ ფიქრობთ, მათზეც ისეთივე გავლენა

ნას ახდენს არქეოლოგია, როგორც თქვენზე მოახდინა?

— ექსპედიციებში სტუდენტთა ჩართვა სწავლების ყველაზე გამართლებული მეთოდია. სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია, რომელიც მე დავაარსე და სადაც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, ათი ათასობით ექსპონატს იტევს. ყველა მათგანი სტუდენტების აღმოჩენილია. ისინი განეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს, ქვის ხანიდან მოყოლებული, ახალი ნელთალრიცხვის IV-V საუკუნეების ჩათვლით. არა მგონია, რომ სტუდენტებს სადმე ასეთი მასშტაბის მასალაზე საშუაოთა ჩატარების საშუალება ჰქონდეთ.

მეორეს მხრივ, როდესაც ჩვენ სოფელ იგოეთთან ახლოს, გრაკლიან გორაზე, ვადარჩენით სამუშაოებს ვანარძობდით (ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის გამო), ფაქტობრივად, საშუალება მოგვცა არქეოლოგიაში საველე-პრაქტიკული განათლების სკოლა ჩამოგვეყალიბებინა. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთხოვ, რომ იქ ათეულობით ახალგაზრდამ მიიღო ის კვალიფიკაცია, რომელსაც სხვა შემთხვევაში წლები დასჭირდებოდა. ეს განაპირობა არა მხოლოდ სტუდენტების მიმართ დამოკიდებულებამ, არამედ თავად არქეოლოგიური სამუშაოების მასშტაბმა და ხასიათმა. გრაკლიანი გორა აღმოჩნდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, სადაც სტუდენტებს საშუალება მიეცათ, შეხებოდნენ, როგორც ქვის ხანას, ასევე ადრე ბრინჯაოს ხანას, რკინის ხანას და მთლიანად ანტიკურ ხანას. ახალგაზრდების ხელში გაიარა აუარებელმა არტეფაქტმა. ამასთან, ეს იყო არა მხოლოდ თიხის ნანარბი, რაც დიდი რაოდენობით გვხვდება ჩვეულებრივ გათხრების დროს, არამედ ლითონის სხვადასხვა სახეობისაგან დამზადებული ნივთები, უმეტეს შემთხვევაში ბრინჯაოს ხანისა. ასევე მოვიხიეთ ვერცხლისა და ოქროს

ლოგია სრულიად წარმოუდგენელია საბუნებრივ-სმეცნიერებებთან კოოპერირების გარეშე. ეს არის თანამედროვე არქეოლოგიის მომავალი. აქედან გამომდინარე, სწავლების მეთოდებშიც შევიტანეთ სიახლეები. მაგალითად, უკვე ისწავლება თანამედროვე ტექნოლოგიები, ლითონების ტექნოლოგია, სტატისტიკური-მათემატიკური მეთოდების გამოყენება არქეოლოგიაში, რომელიც უნივერსიტეტი არ იკითხებოდა და რომლის გარეშეც არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევა წარმოუდგენელია. გვეგმავთ სხვა სიახლეებსაც.

— რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი და საყვარელი ნივთი, რომელიც აღმოგიჩენიათ?

— ყველა საყვარელია და ყველას აღმოჩენას დიდი ემოციები ახლავს ხოლმე. არის ნივთები, რომლებიც თითქოს არ გამოიჩენება მაღალი მხატვრული ღირებულებით, მაგრამ დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვს. მაგალითად, გასულ წელს ჩვენ ვნახეთ თიხის ქანდაკების ფრაგმენტი, რომლის შესწავლის შემდეგ დავადგინეთ, რომ ეს არის კოლხური ბრინჯაოს მხედარი ქალების ქანდაკების ტერაკოტული ასლი. ეს მნიშვნელოვანი შენაძინია, რადგან კოლხური ქალ-ღვთაებების გამოსახულებების გენეზისის საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია.

— გასულ წელს თქვენ სტუდენტებმა „წლის ლექტორად“ დაგასახელეს, როგორ ფიქრობთ, რა არის მათი თქვენდამი სიყვარულის მიზეზი?

— არ ვიცი, რის მიხედვით გამომარჩიეს, მაგრამ სტუდენტისადმი ყურადღება და ერთგულება არ იკარგება. არ შეიძლება გულგრილი იყო იმ ახალგაზრდის მიმართ, რომელსაც რაღაცს ვაკეთებ, ცოდნის შეძენა უნდა. თუ ურთიერთობა იმით ამოიწურა რომ სამსათიანი ლექცია წაუკითხე და ურთიერთობა ამით დაამთავრე, როგორი ლექციაც არ უნდა წაუკითხო, შედეგს ვერ მიიღებ. ამიტომ ჩემი ურთიერთობა სტუდენტებთან აბსოლუტურად შეუზღუდავია. მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს, დილიდან შუალამდე, დამირეკონ და კონსულტაცია მთხოვონ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

— როგორც თავად ამბობთ, თუ ლექციები არ გაქვთ, მუდმივად ექსპედიციებში ხართ. მეგობრებისთვის თუ გრჩებათ დრო?

— ბევრი ჩემი მეგობარი ჩემთან ერთადაა ექსპედიციებში, მაგალითად, არქიტექტორი მერაბ კასრაძე, რომელთანაც 40-წლიანი მეგობრობა მაკავშირებს.

ახალგაზრდობაში რაგბის ვთამაშობდი და სერიოზულად ვვარჯიშობდი. ეს სპორტის სხვა სახეობებისაგან განსხვავებული და ვაქცაქური სპორტია, სადაც მოედანზე ერთგულეზისა და თავგანწირვის რეალური სექცია თამაშდება. არქეოლოგიაში ჩემი ეს გატაცებაც შეინარა, მაგრამ არ მიმიტოვებია ჩემი მოედნის მეგობრები. ისინი ჩემთვის დღესაც გამორჩეულები არიან და დღესაც ვემგობობ მათთან.

— ოჯახი როგორ ეგუება თქვენს მუდმივად „ველზე ყოფნას“?

— შეეგუა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყურადღებას ვაკლებ. ისე, არა მაქვს მრავალიცხოვანი ოჯახი. მუდმივად — მარინა მარდანიანი მუსიკოსია, ფორტეპიანოს პედაგოგი; ქალიშვილი თამარ ლიჩელი — ცნობილი პიანისტი და მას ბევრად უკეთეს ცნობებს ვიძინებ; ვიძე მე; მისი მეუღლე მიხეილ ჩარკვიანი ბიზნესმენია; ვაჟი — სანდრო ლიჩელი ეკონომისტი, ხოლო მისი მეუღლე ციცი იაშვილი — ხელოვნების მენეჯერი. მყავს პატარა შვილიშვილი მარიამ ლიჩელი, რომელიც 2 წლისაა და ერთი სული მაქვს, როდის წავიყვან ექსპედიციაში.

— როგორ ფიქრობთ, რომ არა არქეოლოგია, ვინ იქნებოდა ვახტანგ ლიჩელი?

— თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ასტრონომია მიწოდდა, მქონდა კიდევ ერთი გატაცება — კინო. სტუდენტობისას, როგორც კი უნივერსიტეტი კინო-სასცენარო განყოფილება გაიხსნა, ჩავაბარე და კარგა ხანს ვისწავლე, მაგრამ ველამ გავყვი ბოლომდე, აქაც არქეოლოგიაში იმლავერა... ამ გატაცების გამო რამდენჯერმე ვცადე კინოსთან და ტელევიზიასთან მიახლოება. წლების წინ I არსზე მიმყავდა გადაცემა „საუბრები არქეოლოგიაზე“. სხვათა შორის, მიმანჩნია, რომ ამგვარი შემეცნებითი გადაცემები ტელევიზორებში დღესაც უნდა არსებობდეს და ის აუცილებლად პროფესიონალმა უნდა გააკეთოს.

სცენარისტობაც ვცადე. ერთი მხატვრული და რამდენიმე დოკუმენტური ფილმის სცენარი დაწერე. ამით ჩემს გატაცებებს გარკვეული ხარკი კი გადავუხადე, მაგრამ საბოლოოდ ჩემში მაინც არქეოლოგიური კვლევის იდუმალეზამ და რომანტიზმმა იმარჯვა... მგონია, რომ, ჩემი გატაცებების მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოოდ მაინც ის ვიქნებოდი ვინც ვარ — არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი.



— როგორ ხდება არქეოლოგიური დაზვერვა?

— დღეს ეს უკვე მრავალგვარი ტექნიკური საშუალებით ხდება. სხვათაშორის, ამ მიმართულებით ჩვენ დავასპეციალეთ ერთი სტუდენტი იგი დღეს საქართველოში ერთადერთია, რომელიც აეროფოტოების არქეოლოგიურ დემონსტრაციას აკეთებს.

მინდა ვთქვა, რომ თანამედროვე არქეო-

სტუდენტური პარლამენტი პარლამენტარიზმის იდეისთვის



საქართველოში პარლამენტარიზმის განვითარების ტენდენციების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ეხმარებიან და პროექტით „სტუდენტური პარლამენტი“ ალტერნატიული საკანონმდებლო ინიციატივების შეთავაზებას გეგმავენ იმ პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც საქართველოს პარლამენტში საზოგადოების ნებით არიან არჩეულნი. „ახალი სისხლის“ გადასახმა გულწრფელი და თავისუფალი აზროვნების მქონე სტუდენტებისგან, იმედია, სასიკეთოდ ნაადგება ქვეყანაში მოღვაწე პოლიტიკურ გუნდებს.

მაია ტორაძე

2010 წელს, როცა საქართველოს საკონსტიტუციო კომისია კონსტიტუციურ რეფორმაზე მუშაობდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ავთანდილ დემეტრაშვილმა ფაკულტეტის სტუდენტები საკონსტიტუციო ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართო. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ შეიქმნა ჯერ „სტუდენტური საკონსტიტუციო კომისია“, შემდეგ კი „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“, რომელმაც დებულებაში ჩაწერა, რომ მისი მიზანია „კონსტიტუციური (საჯარო) სამართლის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის გააძლიერება, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცოდნის რეალიზაციისთვის სათანადო გარემოს შექმნა, საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების დონის ამაღლება, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა“. სწორედ

ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ეტაპია მათ მიერ შემუშავებული პროექტი „სტუდენტური პარლამენტი“, რომელიც პირველკურსელთა შესაძლებლობების წარმოჩენას და მათი ცოდნის რეალიზებას ითვალისწინებს. ასე რომ, „სტუდენტური პარლამენტი“ „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის“ ერთ-ერთი პროექტია, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდული ინიციატივების წარმოჩენას და კანონმდებლობითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

„სტუდენტური პარლამენტი“ 63 დეპუტატისგან შედგება. პარლამენტის თავმჯდომარედ, რომლის არჩევნებაც მიმდინარე წლის დეკემბერში ჩატარდება, ხმათა უმრავლესობით, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელი შოთა თუთბერიძე აირჩიეს.

„საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ქეთევან მესხიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ასოციაციის მიერ შემუშავებული პროექტების ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელებს საკუთარი

ცოდნისა და ინტელექტის რეალიზაციის საშუალება მიეცემა. რაც შეეხება „სტუდენტური პარლამენტი“, სათანადო კონსულტაციის გავლის შემდეგ, მას შესაძლებლობა მიეცემა — შეიმუშაოს და წამოაყენოს საკანონმდებლო ინიციატივები. „ასოციაციას კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი აქვს, მათ შორის, გამოვეყოფი კონკურსს — „რა, სად, როდის“, რომელიც დეკემბრის ბოლოს გაიმართება და იურიდიულ თემატიკას შეეხება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ღონისძიებები სასარგებლო იქნება მომავალი იურისტების ცოდნის დონის ამაღლებისა და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის“, — განაცხადა მან.

სტუდენტური პარლამენტის პირველი პლენარული სხდომის დეპუტატებს მიესალმა კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი, რომელმაც „შთამბეჭდავი“ უნდა პირველკურსელ სტუდენტთა აქტიურობას. „მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ დარბაზში 2009-2010 წლებში მიმდინარეობდა კონსტიტუციური რეფორმა, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი სტუდენტური საკონსტიტუციო კომისია. მოხარული ვარ, რომ შეიკრიბეთ... წარმატებას გისურვებთ საქმიანობაში! იმედი მაქვს,

„სტუდენტური პარლამენტი“ ნოვაციურია იმით, რომ მას ავტონომიურობის ძალიან მაღალი ხარისხი აქვს. ეს, პირველ რიგში, საკანონმდებლო პროცესში პირველკურსელთა აქტიური ჩართვის სტიმულია.

რომ თქვენს პარლამენტში ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელებთ. ისე კი, მგონია, რომ თქვენი დისკუსიების ერთ-ერთი ძირითადი და პრიორიტეტული თემა განათლების სფერო უნდა იყოს“, — მიმართა ახალგაზრდებს ავთანდილ დემეტრაშვილი.

მანვე აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია კონსტიტუციონალიზმის თემატიკაზე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარება, რაშიც აქტიურად უნდა ჩაერთონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რადგან მათი კომპეტენცია და ცოდნის დონე იძლევა იმის საფუძველს, რომ გამარჯვებული სწორედ მათ შორის გამოვლინდეს. როგორც ბატონმა ავთანდილმა აღნიშნა, ნატოს ცენტრმა თანხმობა განაცხადა, რომ ოლიმპიადის ორი

გამარჯვებული ლისაბონში და ბრიუსელში მოგზაურობით დააჯილდოვოს.

პლენარული სხდომის დაწყებამდე კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისა და „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციას“ შორის შემორჩენილი უნდა იყოს.

სტუდენტური პარლამენტის პლენარულ სხდომას ესწრებოდა „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თორნიკე ჭიჭიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოში ახალგაზრდული პარლამენტის სხვადასხვა ორგანიზაცია ფუნქციონირებს, თუმცა ასეთი მასშტაბის ორგანო ჯერ არ შექმნილა. „სტუდენტური პარლამენტი“ ნოვაციურია იმით, რომ მას ავტონომიურობის ძალიან მაღალი ხარისხი აქვს. ეს, პირველ რიგში, საკანონმდებლო პროცესში პირველკურსელთა აქტიური ჩართვის სტიმულია. ჩვენ მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს „სტუდენტური პარლამენტს“, რომ დროულად მივანდოლოთ საქართველოს პარლამენტში განსახილველი კანონპროექტები. სტუდენტები იმუშავენ კონკრეტულ საკანონმდებლო ნინადადებებზეც და ჩვენ დავეხმარებით, რომ ეს ნინადადებები სათანადო სტრუქტურებამდე მივიტანოთ. მომავალში „სტუდენტური პარლამენტი“, შესაძლოა, გაიზარდოს და მასში

მთელი საქართველოს სტუდენტობა ჩაერთოს“, — განაცხადა თორნიკე ჭიჭიშვილი.

„ჩვენ იდეალისტები ვართ და გვნამს, რომ ჩვენი აქტივობა საშუალებას მოგვცემს, შევიძინოთ პოლიტიკური დისკუსიის უნარი და ჩამოვყალიბოთ მაღალი სამოქალაქო კულტურის ადამიანებად“, — ასე განმარტა „სტუდენტური პარლამენტის“ საბოლოო მიზანი პარლამენტის თავმჯდომარემ შოთა თუთბერიძემ. მომავალ იურისტთა სტუდენტობის სერიოზული დასაწყისი კი გვაფიქრებინებს, რომ მათი „იდეალისტობა“ საბოლოოდ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას მოხმარდება. „სტუდენტური პარლამენტის“ პირველი პლენარული სხდომა იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელებმა 14 დეკემბერს გამართეს.

თაობა

როცა წარმატება ხელის განვლიანაზეა

ჩვენ უნივერსიტეტის სახეზე ვერთ ხოლმე... იმ ადამიანებზე, რომლებმაც უნივერსიტეტის იდეა ჩვენამდე საკუთარი ცოდნით, ინტელექტით და საქმისადმი თავდადებით მოიტანეს... ვერთ და მათ სტუდენტობაში ვიხსენიებთ... ვეკითხებით, როგორები იყვნენ, ვინ ასწავლიდათ, როგორ ასწავლიდათ, როგორ მოხვდნენ დიდ მეცნიერებაში... ხანდახან ვფიქრობთ, სტუდენტობისას რომ დავეხვეწოთ მათზე, რას დავერდით? დავინახავდით თუ არა მათში დიდ ნიჭს და მიზანდასახულობას? მივადევნებდით თუ არა თვალს მთელი ცხოვრების მანძილზე — როგორ იზრდებოდა და ყალიბდებოდა მეცნიერად? ახლა ამაზე ვადაქვრით საუბარი ძნელია, სამაგიეროდ, შესაძლებლობა გვაქვს, უნივერსიტეტის გამორჩეულ სტუდენტთაგან წარმოვიდგინოთ ერთი ნათელი, ნიჭიერი ახალგაზრდა და პირველი კურსიდანვე მიუყვით მის ცხოვრებას. მას აქვს პოტენციალი, რომ მუდმივად ტრიალებდეს წარმატებულ ადამიანთა შორის.

მაია ტორაძე

თორნიკე ჭიჭიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ფილოლოგები ჰყავს, თავად, სკოლის დასრულებამდე სცოდნია, რომ იურისტი გახდებოდა, რადგან ბავშვობიდან დაინტერესებულა სახელმწიფო მოწყობის საკითხებით და უნივერსიტეტშიც პირველივე კურსიდან საჯარო სამართლის მიმართულა აურჩევია. დღეს იგი კიდევ მეტადაა დარწმუნებული, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლით სწორი არჩევანი გააკეთა: „ველოდი იმას, რაც დამხვდა, რადგანაც ვიცოდი, რომ ამ ფაკულტეტზე საქართველოში აღიარებული იურისტები მოღვაწეობდნენ. იმდენად დადებითი იყო პირველი შთაბეჭდილება და ემოციები, რომ ჩემი იმედი პირველივე ლექციებიდან გამართლდა. აქ ყველა ლექტორი ცდილობს, ცოდნის მაქსიმუმი მოგვცეს, მაგრამ არ გაიკვირდეთ, თუ განსაკუთრებით გამოვარჩევ კონსტიტუციური სამართლის ლექტორს, ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს, რადგან ეს საგანი ჩემი ინტერესის სფერო იყო და იგი სახელმწიფოებრივ მოწყობას, კონსტიტუციური სამართალს შეეხებოდა“, — გვითხრა მან.

არც გაგვეკვირვებია. სწორედ ბატონი ავთანდილის შეთავაზების შემდეგ ჩაერთვნენ თორნიკე და მისი თანაკურსელები საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. 2009 წელს მათ დააფუძნეს „სტუდენტური საკონსტიტუციო კომისია“, რომელმაც ერთი

წლის განმავლობაში აქტიური როლი ითამაშა კონსტიტუციის რეფორმირების პროცესში.

„ეს რეფორმა, მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებდა ახალი კონსტიტუციის დაწერას. საკონსტიტუციო კომისია მხოლოდ მასშტაბურ რედაქტირებას აწარმოებდა და მისი ანალოგიი ჩვენმა სტუდენტურმა კომისიამაც შეიმუშავა გარკვეული ნინადადებები, რომელიც სერიოზულად განიხილეს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენ მიერ კონსტიტუციის მეორე თავში შეტანილმა ცვლილებამ, რომელიც უნარშეზღუდული ადამიანებისთვის დამატებითი კონსტიტუციური გარანტიების შექმნას შეეხებოდა, თუმცა ბოლო ეტაპზე ეს ცვლილება არ გავიდა. ჩვენ აქტიურ მონაწილეობას ვიღებდით კონსტიტუციის ცვლილების პროცესში, თუმცა ერთწლიანი რუტინული შრომა თორნიკე ჭიჭიშვილმა, რომელიც დღეს უკვე „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარეა და უკვე თავად ცდილობს. პირველკურსელები აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას შეაჩვიოს. მისი თავდაჯერებული მსჯელობა საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, სტუდენტთა აქტივობის ამაღლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, უნებურად გაფიქრებინებს, რომ უკვე „შემდგარ“ პროფესიონალს ესაუბრები. ერუდიცია და კომპეტენცია, რაც თორნიკეს საუბარში გამოსჭვივს, ფაკულტეტზე მიღებულ ცოდნასთან ერთად, ბუნებრივ მონაცემებზეც მიუთითებს — როგორც ჩანს, მისთვის განგებამ უხვად გაიმეტა ანალიზის, ლოგიკური მსჯელობისა და აზრის



მწყობრად გამოცემის უნარი, რაც მომავალი იურისტისთვის აუცილებელია.

თორნიკე თავის ლექტორებში უფროს კოლეგებს ხედავს და მიაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტსა და ლექტორს შორის სწორედ ამგვარი დამოკიდებულებაა: „თუ სტუდენტი მოტივირებული და მონდომებულია, მასსა და ლექტორს შორის ადამიანური ურთიერთობებიც ჩნდება. ყველა ჩვენს ლექტორს გააზრებული აქვს, რომ სტუდენტის სახით იზრდება მისი მომავალი კოლეგა, რომელიც საქართველოში იურისტად დასწავლის განვითარებას გააგრძელებს“, — გვითხრა თორნიკემ.

მეორეკურსელისთვის მეტად გააღვირთულ გრაფიკში იგი პოულად დროს, წარმატებულ სტუდენტს იყოს და ასოციაციაც იმდენი დრო დაუთმოს, რამდენიც სჭირდება შეხვედრების ორგანიზებას და სხვადასხვა პროექტის განხორციელებას: დილის

9 საათიდან საღამოს 9 საათამდე ვსწავლობ და ვმუშაობ, — ამბობს თორნიკე და ჩემს კითხვაზე — გართობას როდისღა ასწრებ? — ღიმილით მპასუხობს: — მაგის დროც მრჩება, შაბათ-კვირას მეგობრებთან ერთად ქართულ ტრადიციას ვაგრძელებთ და ხან სუფრასთან, ხან ქალაქგარეთ ვიკრიბებით, ზოგადად, აქტიური დასვენება მიყვარსო.

ბოლო დროს გავრცელებული მოსაზრება, რომ ახალგაზრდობა აღარ კითხულობს, თორნიკეს არ ეხება. იგი ზედმინევნიტ კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურას, რომლისგანაც განსაკუთრებით იაპონურ პროზას გამოარჩევს და თავისუფალ დროს კითხულობს. თავდაც წერს და ამით ერთგვარ ხარკს უხდის ლიტერატურას... თუმცა ბოლო ხანს მეტ დროს მაინც სამეცნიერო ნაშრომების და საკანონმდებლო აქტების გაცნობას უთმობს და ეს ბუნებრივია, რადგანაც თორნიკეს დიდი მიზანი აქვს — მაგისტრატურაში სწავლა საზღვარგარეთ გააგრძელოს და დოქტორანტურა დაამთავროს.

„ვფიქრობ სასწავლებლად გერმანია ავირჩიო, თუმცა არ გამოვირიცხავ რომელიმე ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამასაც, რადგან ამ ეტაპზე ჩემთვის აუცილებელია განათლების მიღება და პროფესიონალად ჩამოყალიბება. რაც შეეხება პრაქტიკას, ალბათ ყველაზე კარგი იქნება, თუ ქვეყანაში მიმდინარე კანონმდებლობის მიმართულ შემოქმედებით პროცესში ვიქნები ჩართული“, — ამბობს თორნიკე და ცოტა მიკვირს ჩემი თაობისთვის ესოდენ მუშაობაში მიზანდასახულობის დანახვა. ჩვენ არ გავრცობთ მომავალი ცხადად წარმოდგენილი, თორნიკეს კი უკვე დაგეგმილი აქვს, როგორ წარმართოს ცხოვრება და საით მიმართოს საკუთარი შესაძლებლობები.

მივედით მთავარ სათქმელამდეც — როცა ახალგაზრდა ფესვებზე მყარად დგას, როცა მისი ნიჭის თანხმელები შრომისმოყვარეობა და ენერგიულობა, მომავალი აუცილებლად წარმატებული იქნება. თორნიკე ჭიჭიშვილი კი ის სახელი და გვარია, რომლითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავს ნამდვილად მიიწოდებს.

ქართული სოკრათი – უცნობი მერაბ მამარდაშვილი



„იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლექციების დაწყებამდე საკმაოდ ადრე მოდიოდა და საგულდაგულოდ ამზადებდა სამუშაო მავიდას: ჩანთიდან დიხვად ამოღებდა და ნინ გაშლიდა ჩიბუხს, თუთუნს და ყველა თანმხლებ მოწყობილობას, პორტატიულ მაგნიტოფონს, კასეტებს, ნიგნს... ძირითადად პრუსტიკის რომელიმე ტომის თხელყდიან, ჯიბის გამოცემას და ერთ ან ორ ფურცელს, იმ ციტატით ან ლექსით, რომლითაც ხშირად იწყებდა ლექციას და რომელიც სანყის განწყობას, ტონალობას აძლევდა დარბაზს...“ — ასე იხსენებენ მერაბ მამარდაშვილის ლექციებს ის ადამიანები, რომლებიც მასთან ერთად მოგზაურობდნენ ფილოსოფიის ლაბირინთებში, მასთან ერთად იხილავდნენ უილიამ ბლეიკის, კანტის, მანდელშტამის, გოტფრიდ ბენის, დანტეს, არტოს თუ ბორხესს...

მაია ტორაძე

გავა წლები და ყველა ერთად ჩაფიქრდება, რა იყო იმ ლექციებში ისეთი, რასაც სხვა ფილოსოფოსებთან ვერ ამოიკითხავდი — რაზე საუბრობდა ადამიანი, რომელიც ფილოსოფოსად ყოფნას ბედისწერას უწოდებდა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეუძახა ქართველებს: „ჩვენ გვჭირდება განთავისუფლება არა მხოლოდ იმპერიისგან, არამედ ჩვენივე ცხოვრების გარკვეული შინაგანი პრინციპებისგან!“ სამწუხაროდ, მაშინ მერაბ მამარდაშვილს „პატრიოტიზმის სახელის“ დაუსტვინეს... არ მოუსმინეს კაცს, რომელმაც ჩვენი გამოფხიზლება სცადა და შეძახილით: „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას!“, არ მოუსმინეს მოაზროვნეს, რომელმაც ჩვენი თვალის ახელა სცადა შეგონებით: „იმ დროიდან, რაც არსებობს სახარებისეული ათვლის წერტილი, იმ დროიდან, რაც არსებობს მსოფლიო ისტორია,

არსებობს ერთი მარტივი კანონზომიერება: რეალური კულტურა და ადამიანური სულიერება არ შეიძლება შემოზღუდული იყოს იმ ეთნიკური მასალით, რომელშიც ისინი ხორციელდებიან. ნებისმიერი სოციალური თუ ნაციონალური ერთობა, რაც უნდა დიდი იყოს იგი, თუნდაც ერთადერთი იყოს, მაინც კერძობითი იქნება და არა უნივერსალური...“

მას ერთგვარი გაუცხოების ბედი დაჰყვა — სიცოცხლეში ის არ მიიღო არც ერთმა საზოგადოებამ, საითაც გული მიუწევდა. მისი აზროვნების მასშტაბი არ დაეცა არც საქართველოში, არც საბჭოთა სივრცეში და არც იმ უნივერსიტეტებში, სადაც ადამიანებს აზროვნებას ასწავლიდა.

საიდან იწყება მერაბ მამარდაშვილი? სად შეიძლება ეძებო მისი თავისუფლების სანყის? გორში — სადაც დაიბადა? თბილისში — სადაც სწავლობდა? მოსკოვში — სადაც ფილოსოფიას ეზიარა? არა-

მერაბ მამარდაშვილი დაიბადა 1930 წელს ქალაქ გორში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

1962 წელს მან მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1970 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია. 1972 წელს მერაბ მამარდაშვილს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1968-1987 წლებში მერაბ მამარდაშვილი იყო სამეცნიერო ჟურნალ „Вопросы философии“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე; მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

1987-1990 წლებში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ნერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის განყოფილების გამგე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა გერმანიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

მერაბ მამარდაშვილი გერმანული ფილოსოფიის [განსაკუთრებით იმანუელ კანტის] გავლენით მუშაობდა აღქმის რაციონალისტურ თეორიაზე; მნიშვნელოვანია მისი წვლილი მეცნიერების ფილოსოფიაშიც. გამოქვეყნებული აქვს მარსელ პრუსტის შემოქმედების კვლევები.

ვინ იცის... დღეს მხოლოდ იმას წერენ, რომ „ბავშვობიდან გამორჩეული იყო, არასოდეს აკმაყოფილებდა მიღებული ცოდნა და, მუდამ ძიებაში მყოფს, უჭირდა იმის პოვნა, რაც მის მოუხვენარ სულს და ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებდა“.

თავად მერაბ მამარდაშვილი აზროვნების მიმალულ კუნჭულში მიგნებულ ფილოსოფიურ ნიშას მოაზროვნე კლასიკოსებს უმადლოდა და იხსენებდა: „მე გამიტაცა კითხვის ნაკადმა, რომელიც შემთხვევით ფრანგული საკითხავი აღმოჩნდა: მონტენი, მონტესკიე, ლიბოუსი, რუსო. სწორედ მათ ჩამოაყალიბეს ჩემი სიტყვა. ჩემი თავი სიმარტოვეში ჩამოვყალიბე ფრანგული წიგნების წყალობით და არც კი ვიცოდი, რომ ჩემს გვერდით — თბილისის უნივერსიტეტში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ნამყოფები იყვნენ გერმანიაში, ქართველები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ ფილოსოფიის შესასწავლად და დაბრუნდნენ. მე კი „სიბრძნის შესასწავლად“

მოსკოვის უნივერსიტეტში გავემგზავრე და იქ ვერაფერი ვიპოვე“...

როგორ იპოვიდა, როცა მოსკოვისთვის, საბჭოთა იდეოლოგიის გარდა, ყველაფერი მიუღებელი იყო... მათ შორის, თავად მერაბ მამარდაშვილიც, რომელიც განმარტავდა, რომ ფილოსოფია იწყება მაშინ, როცა მავანი იწყებს ფიქრს, აზროვნებას, ქმნის თეორიებს და ცნებებს... მოაზროვნე ადამიანი მათთვის საშიში იყო, საშიში იყო მერაბ მამარდაშვილიც... ამიტომაც ყველა სამსახურიდან მოიცილეს.

საქართველო მამარდაშვილის ფილოსოფიას მხოლოდ 1980 წლიდან, მას შემდეგ გაეცნო, რაც ნიკო ჭავჭავაძის მფარველობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ნერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეაფარა თავი. აი, აქ დაიწყო მამარდაშვილის ლექციებით დაინტერესებული ქართველების სვლა ფილოსოფიის უკიდვანო ლაბირინთებში. როგორც მისი მსმენელები იხსენებენ, „ეს ლექციები არ იყო ტრადიციული საუნივერსიტეტო კურსის „კითხვა“, ეს იყო ფილოსოფიური იმპროვიზაცია ან ფილოსოფიურად იმპროვიზებული ძეგლი იმისა, რა უნდა ითქვას დარგორ მოხდეს ფორმულირება. აზრი ყალიბდებოდა მსმენელის აქტიური მონაწილეობით, თემა კი იყო დეკარტი, კანტი, პრუსტი... ისინი აღნიშნავენ, რომ მამარდაშვილის მთავარი თემა იყო — ცნობიერების ფენომენი, სულიერ შესაძლებლობათა გახსნა: ადამიანი უნდა განხორციელდეს, მან უნდა იპოვოს ჭეშმარიტი ყოფიერება“ (www.burusi.wordpress.com).

უნივერსიტეტში მისი ნაკითხული ფილოსოფიის კურსი საჯარო ლექციებად იქცა, მამარდაშვილი კი ახალგაზრდების საყვარელი ფილოსოფოსი გახდა. ლექციაზე შესულს, თურმე, მაგიდაზე ხვედებოდა უამრავი დიქტოფონი, რომელზეც ინერდნენ მის გამოსვლებს, შემდეგ კი უსმენდნენ და მსჯელობდნენ მასზე. მწერალი გვიჩვენებს ველაშვილი იხსენებს: „იმის გამო, რაც იმ კასეტებზე იყო ჩანერილი, მარქსიზმ-ლენინიზმის ორი მთავარი იდეოლოგია — ლენინი და სტალინი სიმრისგან საფლავში ამოტრიალდებოდნენ, რადგანაც ეს ყველაფერი მატერიალისტურისა და მარქსისტულის საწინააღმდეგო იყო“.

80-14 გვირგვინი

მან შექმნა ეპოქა ფიზიკის ისტორიაში



„Гениальное не может быть грязным, гениальное остойтся ясным“
მაია თავხელიძე

„კაცის შესახებ საუბარი ძალიან ჰგავს იმასთან საუბარს, რაც გვიქარვებს ღირსეული ადამიანის ამქვეყნად არყოფნით ჩამომდგარ სევდას“, — ამ სიტყვებით გამოხატა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ანზორ ხელაშვილმა თავისი პირადი და, ამავე დროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეკრებილი საზოგადოების დამოკიდებულება აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის მიმართ.

16 დეკემბერს მსოფლიოში ცნობილ ფიზიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილ პრეზიდენტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. საქართველოს მეცნიერების ეროვნული

აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მიერ ორგანიზებულ საზეიმო სხდომაზე მრავალი თბილი სიტყვა ითქვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის მიმართ. აჩვენეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მის სიცოცხლეშივე შეიქმნა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ, რომელმაც საზეიმო სხდომა გახსნა, მეცნიერის დამსახურებაზე ისაუბრა. ალბერტ თავხელიძის მოღვაწეობა გაიხსენეს მისმა კოლეგებმა და მოსწავლეებმა: აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ, პროფესორებმა: რაფიელ ჩიქოვანმა, მერაბ ელიაშვილმა, ალექსანდრე კვინიხაძემ, იდა ჩხაიძემ და სხვებმა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ალექსანდრე კვინიხაძის აზრით, „ალბერტ თავხელიძემ მთელი ეპოქა შექმნა ფიზიკის ისტორიაში. მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფერო იყო ველის კვანტური თეორია და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა. იგი გახლდათ მსოფლიოში აღიარებული ფიზიკოსი. მისი ნაშრომები მუდამ იყო და იქნება ფიზიკოსთა საზოგადოების ყურადღების ცენტრში“, — მიაჩნია ალექსანდრე კვინიხაძეს.

კოლეგასა და მეგობართან გატარებული წლები ჯუმბერ ლომინაძემაც გაიხსენა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას მეცნიერის ღვაწლი და დამსახურება ფიზიკის დარგში.

„ბატონი ალექო 33 წელი მოღვაწეობდა რუსეთში, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჩაუდგა სათავეში. იგი თავისი დროს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიზიკოსი-თეორეტიკოსი იყო, რომელმაც

თავის პედაგოგ, აკადემიკოს ნიკოლოზ ბოგოლოუბოვთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ელემენტარული ფიზიკის განვითარებაში“, — აღნიშნა ჯუმბერ ლომინაძემ.

პროფესორ ანზორ ხელაშვილის ინფორმაციით, ალბერტ თავხელიძე ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში მთელი ეპოქის შემქმნელად არის ცნობილი. „ამიტომ იყო, რომ იგი ნობელის პრემიაზე წარადგინეს. დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, თუ რამდენად სჭირდებოდა საქართველოს მისი ეს მაღალი ჯილდო — ისტორიის ამ გარდამავალი ეპოქის მიჯნაზე ნობელის პრემია საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბატონი ალექსოვის, რადგან მან ამის გარეშეც დაიმკვიდრა დიდი სახელი ფიზიკის ისტორიაში“.

მეცნიერის მდიდარი ბიოგრაფიის გახსენებისას საზოგადოებას ანზორ ხელაშვილმა მისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტებიც შეახსენა. ალბერტ თავხელიძემ 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა და სხვა ცნობილი მეცნიერები. სწორედ მათი რეკომენდაციით მიეცა მას საშუალება, სწავლა გაეგრძელებინა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბოგოლოუბოვი მოღვაწეობდა. სწორედ იქ დაიცვა ალბერტ თავხელიძემ საკანდიდატო დისერტაცია.

1956 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ქალაქ დუბნის ბირთვულ ცენტრში გაერთიანებული ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიაში. 1963 წელს მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, თეორიული ფიზიკის სამეცნიერო საბჭომ მას ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტიდან არსებული მაღალი ენერჯიების ფიზიკის პრო-

ბლემური ლაბორატორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა თსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი, რომლის მეცნიერ-ხელმძღვანელი ალბერტ თავხელიძე გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ 1967 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1974 წლიდან კი — ნამდვილ წევრად. 1986 წელს აირჩიეს აკადემიის პრეზიდენტად, რომელსაც, დაახლოებით, 20 წელი ედგა სათავეში.

ალბერტ თავხელიძე 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია, რაც ფართოდაა ცნობილი სამეცნიერო წრეებში. მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის იგი 1984 წელს აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1990 წელს კი მის ნამდვილ წევრად. ალბერტ თავხელიძის ინიციატივით დაარსდა რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი, სამეცნიერო სკოლები, გამოიცა სამეცნიერო ჟურნალები, ტარდებოდა სიმპოზიუმები, საერთაშორისო კონფერენციები.

უნდა ითქვას, რომ პროფესორმა ანზორ ხელაშვილმა აკადემიკოსის იუბილეს მიუძღვნა ნიგნი სახელწოდებით: „ალბერტ თავხელიძე“, რომელშიც დაბეჭდილია ალბერტ თავხელიძის სიტყვა, სადაც იგი თავად აფასებს მის მიერ განვლილ გზას: „როგორც ფიზიკოსი გავიზარდე აკადემიკოსი ნ. ბოგოლოუბოვის სკოლაში — იგი იყო ჩემი მასწავლებელი და მოძღვარი. მეცნიერებისა და ორგანიზაციული მოღვაწეობის დიდ გზაზე მჭიდრო ურთიერთობა მქონდა გამოჩენილ მეცნიერებთან, დიდი მასშტაბის სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწეებთან. მათი უმეტესობა განუყოფელი პიროვნებები არიან ცხოვრების უდიდესი გამოცდილებით. მათთან შეხვედრები და ურთიერთობა ჩემთვის იყო დიდად შთაბეჭდილი, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე“.

80-14 გვირგვინი

გიორგი აბა-ასაძე წელს



ახალი წლის მოსვლა ყველას, განურჩევლად ასობა, გვამჩარებდა. ის, რაც წინ გველოდება, უფრო კარგი და მშვენიერი გვგონია, ვიდრე აწვევს. ამიტომ ვამზადებით ჩვენს წარმოდგენაში უკეთესობის, ამიტომ ვიწყობთ ცუდისა და კარგის გადარჩევას ჩვენს გონებაში და ვცდილობთ. ახალი წლის მოსვლას თანაგვნი იმედიანი განწყობით დაგვგვამოთ მოგვარაღი. მსგავსი უთავრობით გავგვიმარაგოთ თსუ-ის ფაკულტეტების ხელმძღვანელებმა საკუთარი ინიციატივებით, იდეებით, იმპროვიზაციებით, რაშიც მართლაც დავაძლავებთ და მათი განხორციელების მოლოდინში არიან.

„საკვანძო კომპეტენციების“ პროექტი აშუშავდება



ნოდარ ბელქანიძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

ფაკულტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი უცხოელ პარტნიორებთან ერთად განხორციელებული ერთობლივი პროგრამებია. ჩვენი სტუდენტები ინტენსიურ მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში, მომავალი წლისთვისაც იგეგმება ახალი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის განხორციელება. ასევე, ვაფინანსებთ იმ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობენ. ჩვენს ფაკულტეტზე აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ასწავლიან საზღვარგარეთ განათლება მიღებული სპეციალისტები, რომელთაც ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“ აფინანსებს. ისინი სასარგებლო საქმიანობას ეწევიან — სტუდენტებს თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას უზიარებენ. ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ გარკვეული ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტმა აიღოს. ვფიქრობ, რომ მომავალ წელს ამის განხორციელებას შევძლებთ.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უკვე ტრადიციად იქცა სამეცნიერო კონფერენციების გამართვა. ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციები, ხოლო მონაწილეთა ნაშრომები კრებულების სახით გამოიცემა. მომავალი წლიდან ბიუჯეტში ბეჭდვის ხარჯებსაც გავითვალისწინებთ (აქამდე კონფერენციების მონაწილეები საკუთარი ნაშრომების დაბეჭდვას თავად აფინანსებდნენ).

2011 წელს ფაკულტეტზე ვგეგმავთ პროექტის „საკვანძო კომპეტენციები“ განხორციელებას. ასეთი ე.წ. საკვანძო კომპეტენციების ცენტრები წარმატებით მოქმედებს ევროპის მრავალ უნივერსიტეტში. ეს პროექტი გულისხმობს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის, დამხმარე პერსონალის, სტუდენტებისა და, ასევე, ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის ისეთი სემინარებისა და ვორკშოპების შეთავაზებას, რაც მათ სოციალური და ორგანიზაციული კომპეტენციების განვითარებაში დაეხმარება. პროექტის ფარგლებში, პრეზენტაციული უნარ-ჩვევების გასავითარებლად, სტუდენტებს შეეძლება გაიარონ ტრენინგები და ა. შ.

2011 წელს არა ერთი საინტერესო ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი. ვაპირებთ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მონაწილეობას. მათ შორის არიან მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები, სპორტსმენები... იგეგმება სტუდენტებისთვის საჯარო ლექციების ციკლი, გაიმართება კონფლიქტის ანალიზისა და მართვის რესპუბლიკური კონფერენცია, ზიგმუნდ ფროიდის 155 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია — „ტრავმა და ფსიქოდი-ნამიკური თერაპია“, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და ამავე ფაკულტეტის

პროფესორთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები, III ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია — გენდერის კვლევები და საერთაშორისო კონფერენცია „სოციალური მუშაობის განვითარების სამეტაპიანი ციკლის განვითარება, ძირითადი შედეგები და მიღწევები“. ეს იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მომავალ წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა.



ვისურვებდი, რომ ეს წელი ყველა უნივერსიტეტისთვის საინტერესო და წარმატების მომტანი ყოფილიყო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კვლავაც ქართული საგანმანათლებლო სივრცის ფლაგმანის როლი შეინარჩუნოს. შობა-ახალი წელი მნიშვნელოვანი თარიღია და, ამიტომ, ყველა სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელს და ადმინისტრაციულ პერსონალს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ვულოცავ ამ დღესასწაულს.

საჭიროა უფრო მეტი ინტერნაციონალიზაცია



ირაკლი გურდული, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

იურიდიული ფაკულტეტი 2011 წელსაც წარმატებით დაასრულებს ყველა იმ საქმეს, რომლის განხორციელებაც მიმდინარე წელს დაიწყო.

პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ მომავალ წელს გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამაზე და შპაიერის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამაზე საჯარო მმართველობაში ახალ ნაკადს ველით. მიგვაჩნია, რომ ეს სამაგისტრო პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რადგან მაგისტრანტებს ევროპულ იურიდიულ განათლებას აძლევს.

ჩვენი პრიორიტეტი სწავლისა და, მთლიანად, სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციაა. ამიტომ, მუდმივად ვცდილობთ, სტუდენტებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ სხვადასხვა დასავლური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან. ამ მიზნით, 2011 წლის გაზაფხულზე, მსგავსად წინა სემესტრისა, განსაზღვრულია უცხოელი ლექტორების ჩამოყვანა. უცხოეთში ცნობილი სამართალმცოდნეები ჩვენი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს სრულ კურსს ჩაუტარებენ. მათ შორის, ცხადია, იქნებიან ჩვენი სტუდენტებისთვის ნაცნობი ლექტორებიც, მაგრამ ვცდილობთ, რაც შეიძლება ბევრი ახალი სახე ჩამოვიყვანოთ. მათ მიერ წაკითხულ საგნებში სტუდენტები მიიღებენ როგორც კრედიტებს, ასევე, იმ უმაღლესი სასწავლებლების სერტიფიკატებს, რომლებშიც ეს ლექტორები მოღვაწეობენ.

მომავალი წლის იანვარში ჩვენი ფაკულტეტის პროფესორი ნუგზარ სურგულაძე, რომელიც სამართალში ინსტიტუციებს ამზადებს, გამოსცემს წიგნს, რომელიც დაიბეჭდება თარგმნილი ინსტიტუციებისთვის კომენტარებით. ჩვენ ამ ფაქტით ვამაყობთ, რადგან საქართველოში ქართულ ენაზე ასეთი გამოცემა არასოდეს დაბეჭდილა.

კიდევ ერთი სახელე ჩვენს ფაკულტეტზე საერთაშორისო რეფერენციალად უფრო ნაკლები გამოსვლასთანაა დაკავშირებული. ალბათ იცით, რომ 2009 წელს იურიდიულმა ფაკულტეტმა ქართულ ენაზე გამოცემა „სამართლის ჟურნალი“, რომელიც სამართლის სხვადასხვა სფეროს მოიცავს, იქნება ეს კერძო, სისხლის თუ საჯარო სამართალი. მომავალ წელს ეს ჟურნალი ორენოვანი გახდება. იგი დაიბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე და საერთაშორისო რეფერენციალად უფრო ნაკლები კატეგორიის შეიქმნის.

რაც შეეხება ღონისძიებებს, დაგეგმილია უამრავი სამეცნიერო კონფერენცია, როგორც სტუდენტების, ასევე, პროფესორ-მასწავლებლებისათვის. მათ შორის, გამოვყოფ ერთ-ერთს, რომელიც უახლოეს ხანში ახალგაზრდა იურისტ-მეცნიერთა საზოგადოებასთან ერთად გაიმართება.

ცხადია, მომავალი წლის ყველა დაგეგმილ ღონისძიებაზე ვერ ვისაუბრებ და ეს, ვფიქრობ, შეუძლებელიცაა, მაგრამ, მთავარია, რომ ჩვენ მომავალი წლიდანაც ვაგრძელებთ მუშაობას უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარებისათვის. ეს ხანგრძლივი და პერმანენტული პროცესია. პოსტსაბჭოთა სივრცეში ცნობილია, რომ საქართველოში თანამედროვე იურიდიული განათლება ახალ მეთოდებზე და სწავლის ახალ შედეგებზე ორიენტირებული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ პოსტსაბჭოთა სივრცეს კი არ უნდა შევედაროთ, არამედ ევროპულ და ამერიკულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა გავუნიოთ კონკურენცია, თუ გვსურს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამყვან და პრესტიჟულ უნივერსიტეტად იქცეს ევროპის და მსოფლიოს მასშტაბით.



ახალ წელს ჩვენს უნივერსიტეტს მინდა ვუსურვო უფრო მეტი ინტერნაციონალიზაცია, ფართო სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა და აქტიური სტუდენტობა. ეს წელი ყველასთვის წინსვლის, ბედნიერების და წარმატების მომტანი ყოფილიყოს!

ღონისძიებების სულისჩამდგამელი



ღარაქან თხალთხაძე, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამ წელსაც მრავალი სახლით, გარკვეული სურვილებით ხვდება, რომელთა ასრულება მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ფაკულტეტისთვის, ისე მთელი უნივერსიტეტისთვის. როგორც კი საახალწლო ციებ-ცხელება დამთავრდება, დაიწყება მზადება მეორე სემესტრისთვის. უკვე დაიგეგმა რამდენიმე ღონისძიება, რომელიც უახლოეს მომავალში განხორციელდება. თებერვლიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეუდგება ახალი სასწავლო სემესტრისთვის ინტენსიურ მზადებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მომავალი წლიდან ფაკულტეტი უფრო მეტი სტუდენტის მიღებას გეგმავს (დაახლოებით, 750-მდე სტუდენტს მივიღებთ), კვლავ ვაგრძელებთ საქართველოში მცხოვრები აზერბაი-

ჯანელი და სომეხი სტუდენტების მიღება, რომლებიც ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები გახდებიან. ამასთან, ვმუშაობთ რამდენიმე ახალ ინტერდისციპლინურ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც გათვლილი იქნება არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არამედ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებზეც — მისი განხორციელება მომავალ წელს იქნება შესაძლებელი. ასევე, მიმდინარეობს უცხოენოვანი პროგრამების მომზადება, რათა ჩვენს ფაკულტეტზე უცხოელი სტუდენტების რაოდენობა გაიზარდოს. ამიტომ სერიოზულად ვფიქრობთ, გადავხედოთ რამდენიმე მიმართულებით ჩვენს სასწავლო გეგმებსა და კურსულუმს. ამ მხრივ ფაკულტეტზე რამდენიმე პროექტი ხორციელდება, მათ შორის მნიშვნელოვანია hespis უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროექტი, რომელიც ჩვენი ფაკულტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის მიმართულებებზე ხორციელდება. განაცხადის შეტანას ვაპირებთ ტემპუსის პროექტშიც, სადაც, ევროპისა და საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტთან ერთად, საფაკულტეტო საგნების, კურსულუმების, საფაკულტეტო საგნების, სილაბუსების მოდერნიზაციისა და მათი ცვლილებების შესახებ ვაკეთებთ აქცენტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფაკულტეტზე არსებული ენების ცენტრი უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული ხდება, რაც ნიშნავს, რომ ცენტრსა და ფაკულტეტს შორის ურთიერთობა ახალ ფაზაში გადადის. ჩვენი მიზანია, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ენების სწავლების საკითხს, ზოგადად ფაკულტეტზე და, მათ შორის, პროგრამულ მიმართულებებზე.

სულმოუთქმელად ველოდებით 2011 წლის სექტემბერს, როდესაც ჩვენი ფაკულტეტი დაბრუნდება პირველ კორპუსში. ამ მხრივ 2011 წელი განსაკუთრებით დასამახსოვრებელი წელი იქნება, რადგან დაუბრუნდებით პირადად სამყოფელს, სადაც ჩვენთვის უკვე მზადდება აუდიტორიები, სამუშაო ოთახები... იმედი გვაქვს, რომ პირველკურსელებს იქ ვუმაპინძლებთ.

გარდა ამისა, მომავალი წლის პირველივე თვიდან, ფაკულტეტი რამდენიმე

მოგესხნებათ, მომავალ, 2011 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამარსებელს ივანე ჯავახიშვილს დაბადებიდან 135 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ფაკულტეტი ერთ-ერთი სულისჩამდგამელი იქნება უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებისა.

მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავს: 8 იანვარს, ვარლამ თოფურის დაბადების დღეს, ტრადიციულად გაიმართება სამეცნიერო სესია. 16 იანვარს ქალბატონ მზექელა შანიძეს დაბადებიდან 85 წელი უსრულდება, იანვრის ბოლოს კი ცნობილი მეცნიერი ჯუმბურთე 80 წლის ხდება — ფაკულტეტი განსაკუთრებულად ემზადება ამ ორი იუბილარისადმი მიძღვნილი სხდომის ჩასატარებლად. ასე რომ, წინ მალევე ბევრი და საინტერესო ღონისძიება გველის.



მიუხედავად იმისა, რომ თოვლი ჯერ კიდევ არ მოსულა, საახალწლო განწყობა უკვე იგრძნობა, განსაკუთრებით ეს დღესასწაული ალბათ სტუდენტებს ახარებთ, მიუხედავად იმისა, რომ წინ დაძაბული დღეები ელით. სემესტრი მიიღია, მთავრდება სააუდიტორიო მეცადინეობები, დავალბების, კოლოქვიუმების ჩაბარების პერიოდი, 10 იანვრიდან კი გამოცდები იწყება, რომელსაც იმედი, სტუდენტები წარმატებით ჩააბარებენ. ხალისიანი განწყობა გვაქვს, რადგან შობა-ახალი წელი ყველასათვის საყვარელი დღესასწაულია.

იმედი გვაქვს, რომ ახალი წელი ახალი იმედებით, საინტერესო იდეებით, ფეხბედნიერი შემოაბიჯებს და ყველასთვის სხვაარულისა და წარმატების მომტანი იქნება.

გა-8 გვიარღვა

კონტაქტები საქართველოში მოღვაწე დამსახურებულთა



ელენე სარაბაკი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— ის, რომ რეფორმები სწორი გზით ხორციელდება, დასტურდება ავტორიტეტით, რომელიც ფაკულტეტმა უკანასკნელ წლებში დაიბრუნა.

ამის დასტურება აბიტურიენტთა არჩევანი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. თუ 2009 წელს ეროვნული გამოცდების შედეგებით ფაკულტეტზე ჩარიცხული 889 სტუდენტიდან გრანტის გარეშე მხოლოდ 4 სტუდენტი იყო, ხოლო 100%-იანი დაფინანსება 308 სტუდენტს ჰქონდა, 2010 წელს ჩარიცხული 540 სტუდენტიდან სახელმწიფო გრანტი აქვს ყველა სტუდენტს, 221 სტუდენტს (ქვეყანაში სრულად დაფინანსებული 1000 პირველკურსელიდან) აქვს 100%-იანი გრანტი და მხოლოდ 3 სტუდენტი, რომელსაც 30%-იანი დაფინანსება აქვს. ასეთი წარმატება, ცხადია, ადვილი მისაღწევი სულაც არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხო ენების, პირველ რიგში კი ინგლისური ენის შესწავლას. ბიზნეს-ინგლისური, როგორც სავალდებულო საგანი, ისწავლება 4 სემესტრის განმავლობაში, კვირაში 6 საათის დატვირთვით. გარდა ინგლისური ენისა, სტუდენტებს შეუძლიათ სრულყოფილ თავისი ცოდნა ფრანგულ და გერმანულ ენებში.

მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტი ცდილობს კავშირები დაამყაროს მსოფლიოში აღიარებულ უმაღლეს სასწავლებლებთან. დღეისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი თანამშრომლობს გერმანიის (ზარლანდის, იენის, ბრემენის, პოტსდამის, ციტაუ-გორლიტცის, შპაიერის), საბერძნეთის (სალონიკის, პირეუსის), საფრანგეთის (ვერსალის), იაპონიის (ცუგუბას), პორტუგალიის (ვიანა დე კასტელოს), ბულგარეთის (ბურგასის), ესტონეთის (ტარტუს), ლატვიის, ნიდერლანდების (მასტრიხტის) უნივერსიტეტებთან. 2011 წლის შემოდგომიდან ამოქმედდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა იენის უნივერსიტეტთან ერთად. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს — სწავლების ხარისხი კიდევ უფრო გავზარდოთ, რათა მოკლე ვადებში მოვახდინოთ სრული ინტეგრირება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ფაკულტეტი ცდილობს კონტაქტები დაამყაროს საქართველოში მოღვაწე დამსახურებულთა (როგორც სამთავრობო, ისე განსაკუთრებით კერძო სტრუქტურებთან) და სპეციალისტთა მომზადების პროცესში გამოიყენოს მათი შესაძლებლობები (მატე-

რიალურ-ტექნიკური ბაზა) თუ მოთხოვნები. ეს პროცესი 2011 წელს კიდევ უფრო გააქტიურდება.

2011 წელი მიღწეული წარმატებების განმტკიცების, ახალი შესაძლებლობების წელი იქნება. ჩვენ მაქსიმალურად შევცდებით, რომ ფაკულტეტმა დამსახურებულად შეინარჩუნოს ეკონომიკური განათლების ლიდერის პოზიციები და, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ყოველთვის დარჩეს აბიტურიენტთა საოცნებო კერა და საუკეთესო არჩევანი, რომლის კურსდამთავრებულზე მაღალი მოთხოვნა იქნება როგორც სახელმწიფო დაწესებულებების, ისე წარმატებული ბიზნეს-სტრუქტურების მხრიდან.

გიორგი პოპ-ასაძე, 2011 წელს! გისურვებთ მშვიდობას, წარმატებას, ჯანმრთელობას. აყვავება და წინსვლა დაებედოს ჩვენს უნივერსიტეტსა და სრულიად საქართველოს!

ფაკულტეტზე მისაღები კონტინენტის რაოდენობა გაორმაგდება



რამაზ ბოშორიძე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სტუდენტები წარმატებით აბარებენ ერთიან სამაგისტრო გამოცდებს და მათი უმრავლესობა გრანტს იღებს, ხოლო გრანტის გარეშე დარჩენილი მცირე ნაწილი ფინანსდება საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო ბიუჯეტიდან, რაც დარგის მხარდაჭერაზე მეტყველებს. წელსაც საკმაოდ კარგი შედეგები მივიღეთ, როგორც ბაკალავრიატში, ასევე მაგისტრატურაში. ფაკულტეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გასულ წელს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სახელმწიფო პროორიტეტად გამოცხადდა. სწორედ ამიტომ 2011 წელს ფაკულტეტზე მისაღები კონტინენტის რაოდენობა თითქმის გაორმაგდება გასულ წელთან შედარებით.

სიახლეებს შორის, რომელიც მომავალ წელს ფაკულტეტზე დაინერგება, მინდა გამოვყავ კოტირება საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და საგანზე დაშვების წინაპირობა. ერთ-ერთი პრობლემა, რაც უნივერსიტეტში არსებობს და რაზეც სტუდენტები ხშირად სამართლიან საყვიდურს გამოთქვამენ, არის ის, რომ საგანზე ან პროგრამაზე რეგისტრაციისას ხშირად გადამწყვეტი ფაქტორი ხდება - თუ ვინ მოასწრებს დარეგისტრირებას. ფაკულტეტის საბჭოს გადან-

ყვეტილებით, აუცილებელია აღნიშნული პროცედურების დეტალიზება, რაც უფრო ნათელს და გასაგებს გახდის - თუ ვინ და როგორ რეგისტრირდება ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან საგანზე. როცა ეს პროცედურები დაიხვეწება, იმედი გვაქვს, აკადემიური რეგისტრაცია უკეთესად ჩატარდება.

ფაკულტეტზე მომავალ წელსაც, ტრადიციულად, მაღალი იქნება მოთხოვნა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მიმართ. ფაკულტეტი თავისი პოტენციალით არაერთგვაროვანია და, სწორედ ამის გამო, დარგების მიმართ მოთხოვნების უნიფიცირების საჭიროება გამოიკვეთა, რაც უახლოეს მომავალში ფაკულტეტის საბჭოზე იქნება განხილული.

ახალი წელი დღესასწაულია, რომელიც ოცნებების ახდენის, მიზნის მიღწევის და იმედების გამართლების მოლოდინთან ასოცირდება.

საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრებს და მათ ოჯახებს ვუსურვებ წარმატებულ მოღვაწეობას, საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენებას და სიკეთეს.

კურიკულუმის რეფორმა პერმანენტული პროცესი უნდა იყოს

ალექსანდრე ცისკარიძე, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— 2010 წელი თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ თსუ-ში ამოქმედდა რეზიდენტურის პროგრამები და უნივერსიტეტთან აფილირებულმა კლინიკებმა გაიარეს სერტიფიცირება სარეზიდენტო პროგრამების მათ ბაზაზე განხორციელებისათვის და პროფესიული დახელოვნების გადამწყვეტი ეტაპია, რისი წარმატებით დასრულების შემდეგ ექიმი იქნის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლებას, როგორც ამა თუ იმ კლინიკური დარგის სპეციალისტი. სამწუხაროდ, აქამდე სარეზიდენტო პროგრამები თსუ-ს მიღმა ხორციელდებოდა. რეზიდენტურის პროგრამების განხორციელებაზე უფლების მოპოვება, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, დამდეგი 2011 წლის განმავლობაში გავაგრძელებთ სამედიცინო სწავლების კურიკულუმის და სასწავლო პროგრამების შემდგომ სრულყოფას. კურიკულუმის რეფორმა პერმანენტული პროცესი უნდა იყოს. სამედიცინო კურიკულუმი არ არის სტანდარტული დოკუმენტი, რომელიც ცვლილებებს არ განიცდის. ცვლილება და განახლება მას თანმიმდევრობით ესაჭიროება, ვინაიდან თვით სამედიცინო მეცნიერება და სამკურნალო-დიაგნოსტიკური ტექნოლოგიები მუდმივად, დინამიურად და, რაც მთავარია, ძალიან სწრაფად ვითარდება. შესაბამისად, სამედიცინო განათლებაც უნდა პასუხობდეს დროის მუდმივად ცვლად მოთხოვნებს და ახალ გამოწვევებს. სასიამოვნოა, რომ კურიკულუმის სრულყოფაში ჩვენი ბრიტანელი პარტნიორებიც დაგვეხმარებიან. სწორედ ახლახან მქონდა შეხვედრა ინგლისის მედიცინის სამედიცინო კოლეჯის წარმომადგენლებთან, რომლებიც თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის რეფორმებს მოახდენენ. თანამშრომლობის ეს პროცე-

სი არა მხოლოდ მომავალ წელს, არამედ მის შემდგომაც გაგრძელდება. ჩვენ, ასევე, აქტიურად ვმუშაობთ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლების თანამედროვე მეთოდების განვითარებისთვის. პირველ რიგში ეს შეეხება პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას და ე.წ. სიმულაციურ სწავლებას. ვგეგმავთ, რომ ბრიტანელ პარტნიორებთან ერთად მედიცინის ფაკულტეტზე თანამედროვე სიმულაციური ლაბორატორია მოვანყოთ. გარდა ამისა, გვინდა ე.წ. ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) უფრო ფართოდ გამოყენება სტუდენტთა ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასებისთვის. მომავალ წელს ვგეგმავთ უცხოელი სტუდენტების მიღებას ინგლისურენოვან პროგრამებზე.

2011 წელს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველ და ფრანგ ნევროლოგთა საერთაშორისო კონფერენციაა, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულნი მსოფლიოში სახელმწიფოეჭილი პარიზის უნივერსიტეტის სალპეტრიერის ჰოსპიტალის წამყვანი ნირომეცნიერები და კლინიკისტი. მომავალ წელს აუცილებლად გაგრძელდება სტუდენტების გაცვლითი პროგრამები გერმანიის წამყვან კლინიკებთან. ამ მიმართულებითაც ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და ბევრ საინტერესო სიახლესაც ვგეგმავთ.

მინდა ახალი წელი მივულოცო, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს — ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს... რადგან თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე რეზიდენტურაც ამოქმედდა, უკვე ჩვენი ფაკულტეტის რეზიდენტებსაც, მინდა ვუსურვო წარმატებული წელი და საინტერესო აკადემიური და სტუდენტური ცხოვრება. ძალიან მადლიერი ვარ ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ვუსურვებ მათ, რომ მომავალ 2011 წელსაც ასეთი შემართებით და ენთუზიაზმით გაუძღვენ საკუთარ საქმეს. ვულოცავ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც. ვისურვებ, რომ კვლავაც საუკეთესო ხარისხის განათლება მივანოდოთ ჩვენს ახალგაზრდობას.



ახალი ხედვა

ნინო ღურბლიძე, თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

— 2011 წელი დატვირთული იქნება იმ საქმიანობით, რომელიც უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე. ეს გულისხმობს შრომით ბაზარზე მათი დამკვიდრებისთვის საჭირო ცოდნის და კომპეტენციის გადაცემას. მომავალ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეალურად იზრუნებს, რომ მისი კურსდამთავრებული სრულფასოვან და კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბდეს ამ მიზნით, გააქტიურდება კავშირი დამსახურებულთა. მოვიძიებთ ინფორმაციას,



თუ რა ტიპის კომპეტენციები სჭირდებათ მათ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისგან, რის შემდეგაც ამ კომპეტენციებს

სასწავლო პროგრამებში ჩავრთავთ. ეს მნიშვნელოვანად შეცვლის სასწავლო პროგრამებს და სტუდენტისთვის უფრო პრაქტიკულს და საინტერესოს გახდის მას.

ბუნებრივია, ამ სიახლეების განხორციელება მოხდება კვლევების საფუძველზე, რომელიც ჩაერთვებიან უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, დამსახურებულები და ყველა ის დაინტერესებული პირი, ვისთვისაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს. იმედი გვაქვს ჩვენი კურსდამთავრებულებისა, რომლებიც ახლა, შრომით ბაზარზე, დასაქმებულების სახით გვევლინებიან. ვფიქრობთ, ისინი მხარს დაგვიჭერენ და საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩაერთვებიან.

მომავალ წელს განსაკუთრებით გავაქტიურებთ საერთაშორისო კავშირებისაც.

მინდა, ახალი წელი, პირველ რიგში, მივულოცო სტუდენტებს, რადგან საუნივერსიტეტო ცხოვრების მთავარი მიზანი მათი წარმატებული მომავალია. ვუსურვებ მათ ბედნიერებას და მშვიდობიან, თანამედროვე სახელმწიფოში მოღვაწეობას. ყველაფერს გავაკეთებ, რათა მათი მომავალი კვალიფიციური ცოდნით უზრუნველყოფილი იყოს.

რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებლებს, ვუსურვებ წარმატებებს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში. ახალ წელს ბევრი სიკეთე მოეტანოს ყველა ჩვენგანისთვის!

გიორგი პოპ-ასე ნელი



შობა-ახალი წელი არის მოგზაობა. ტრადიციულად, ამ დღისთვის ყველა განსაკუთრებულად ემზადება. თუმცა, არიან დაბრუნებულნი, რომლებიც ვიღაცაზე დაბრუნდნენ და აღმოაჩინეს, რომ ისინი უკვე დაბრუნდნენ... მათი საშუალო მოსახლეობის განხილვას ვაძლევთ. მათი საშუალო მოსახლეობის განხილვას ვაძლევთ. მათი საშუალო მოსახლეობის განხილვას ვაძლევთ.

თსუ-ის სტუდენტთა რაოდენობა 3000-ით გაიზარდა



დალი კანდელაკი, სასწავლო დეპარტამენტის უფროსი:

— 2011 წელს სასწავლო დეპარტამენტი განახლებული იდებოდა და მიზნებით ხვდება. თსუ-ის სტუდენტთა რაოდენობა 3 ათასით გაიზარდა. 2010 წლის დასასრულს შემოვიყვანეთ სსიპ – თბილისის ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი და შპს – საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი.

დალი წესრიგში სასწავლო დეპარტამენტის სახელმწიფო შეცვლის საკითხი დგას. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დეპარტამენტი დაერქმევა, რაც უფრო მართებულიდ მიგვაჩნია. იგეგმება დეპარტამენტის სტრუქტურული ცვლილება. ნაცვლად ორისა, მას მესამე განყოფილების სახით, აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი შეუერთდება.

ახალი წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვიზიტორი სტუდენტები ეყოლება. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან ერთად მათი მიღების წესის შემუშავება მიმდინარეობს. უცხოელ სტუდენტს საშუალება ექვლება, სურვილისამებრ, ერთი სემესტრი ან სასწავლო წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლოს: ის მიიღებს შეფასებებს, კრედიტებს, რომელსაც შემდგომ უცხოეთის უნივერსიტეტი უღიარებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს მხოლოდ ის უცხოელი სტუდენტები სწავლობს, რომლებსაც უნივერსიტეტთანავე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააქვს გაფორმებული. ამ წესის საფუძველზე თსუ უამრავ ვიზიტორ სტუდენტს კარგავს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვუსურვებ შემოქმედებით აქტიურობასა და წინსვლას. აკადემიურ პერსონალს უფრო მეტი სამეცნიერო გრანტების მოპოვებას, რადგან ეს ყველაფერი უნივერსიტეტის წარმატების გარანტი და საწინდარია.

კომერციული ბიზნესის დიდი პოტენციალი



გიორგი ღვებიაშვილი, თსუ-ის სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტის უფროსი:

— ტრადიციულად, ახალ წელს ყველა ოპტიმიზმითა და ახალ-ახალი იდეებით ხვდება. ამჟამად უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაცია მიმდინარეობს, რომლებიც ახალი წლიდან უკვე ოფიციალურად იქნებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში, რაც თსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განვითარების საუკეთესო წინაპირობას წარმოადგენს.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თსუ-ში შემოსვლა სასწავლო პროცესში მათ აქტიურად ჩართვას ნიშნავს, რაც ახალი ინტერდისციპლინარული სასწავლო პროგრამების შექმნის საფუძველს იძლევა. ისინი ფაკულტეტებთან ერთად შეიმუშავენ და განავითარებენ ახალ სასწავლო პროგრამებს. ამ ინსტიტუტების ნაწილი გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულებით მუშაობს, ამიტომ მათ კომერციული ბიზნესის

დიდი პოტენციალი გააჩნიათ, რაც ასევე მნიშვნელოვანია არა მარტო თსუ-ის, არამედ ქვეყნის პროგრესული განვითარების მხრივაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და, ზოგადად, ქვეყნის ხელისუფლებამ, უნდა გაზარდოს ტექნოლოგიური კვლევების მოცულობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობისთვის ცალკე საგარანტო კონკურსის გამოცხადება.

ჩვენი დეპარტამენტი კვლავ აქტიურად გააგრძელებს მუშაობას სამეცნიერო გრანტების მოზიდვის თვალსაზრისით. იგეგმება კავშირების გაფართოება უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. სამომავლოდ გაიზარდება უცხოელი პროფესორების ლექცია-ტრენინგების კურსი, ხოლო საბავშვო უნივერსიტეტი კვლავ ჩვეული რიტმით გააგრძელებს მუშაობას.

მინდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი წარმატებები და საერთაშორისო აღიარება ვუსურვო. თსუ არის დედა უნივერსიტეტი, რომელსაც განსაკუთრებული დანიშნულება აქვს მეცნიერებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით. თსუ-ის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად ყველა უნდა დადოს ერთი „აფური“ და იზრუნოს მისი გაძლიერებისა და განვითარებისათვის.

ცენტრი — EUCEN-ში განეპირინების მოლოდინი



ქატიკა ცინცაძე, თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი:

— 2010 წელი თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლდათ. თსუ ჩართო „ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციების ერთ-ერთ პროექტში, რომელსაც „ინკლუზიური და შეხებასის საუნივერსიტეტო სტრატეგიების ფორმულირება“ (SIRUS) ეწოდება. ეს არის პროექტი, რომელიც 29 უნივერსიტეტი მონაწილეობს და ამ უნივერსიტეტებში უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვას უწყობს ხელს. ამ პროექტში, ძირითადად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უნივერსიტეტებია წარმოდგენილი, მასში, არანეკრი ქვეყნებიდან, მხოლოდ საქართველო (თსუ) და რუსეთი მონაწილეობს. ცოტა ხნის წინ, პროექტ SIRUS-ის მესამე ეტაპის შეხვედრა ქალაქ ვენაში გაიმართა, სადაც ჩვენ თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის განვითარების სტრატეგია წარვადგინეთ. აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ამავე შეხვედრაზე შეხვედით „ევროპის უწყვეტი განათლების ასოციაციის“ (EUCEN) წარმომადგენელს, რომელთანაც ამ ორგანიზაციაში თსუ-ის განვითარების საკითხზე ვისაუბრეთ და ოფიციალური განაცხადიც გავგზავნეთ, რომელზე პასუხსაც 2011 წლის დასაწყისისთვის ველოდებით. იმედი მაქვს, 2011 წლის მაისში დაგეგმილ კონფერენციაში, რომელიც ქალაქ გრანადაში გაიმართება, უკვე სრულფასოვანი წევრის სტატუსით მივიღებთ მონაწილეობას. ასევე, მომავალი წლის თებერვალში, პროექტ SIRUS-ის ფარგლებში გამართულ დასკვნით შეხვედრაზე, ქალაქ ანტვერპენში, თსუ-ში უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვის მიმართულებით განუხილვეთ სამუშაოების ანგარიშს წარვადგინებ.

უწყვეტი განათლების პროგრამები არ გულისხმობს აკადემიური ხარისხის მინიჭებას. მათში ჩართვა და ახალი პროფესიის შექმნა ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია. ამჟამად გამოვაცხადეთ მიღება ორთვიანი პროგრამაზე — „სურსათის მარკეტინგი“. მომავალი წლის დასაწყისში სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებისთვის ამოქმედდება 10 დღიანი ტრენინგ-პროგრამა — „წერიტი და ზეპირი პრეზენტაციის უნარები“, აკადემიური საბჭოს მიერ უკვე დამტკიცებულია „ფოტოგრაფიისა და ტელევიზორის ხელოვნების“ მოკლე ვადიანი კურსებიც. ვიმედოვნებ, რომ ამ პროგრამის განხორციელების საშუალება ახლო მომავალში მოგვეცემა. ამჟამად დასაბჭოვებულია მზადაა საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით შექმნილი პროგრამა, რომელიც SISCO-ს ქსელის სპეციალისტებს მოამზადებს. პროგრამის მონაწილეები, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სპეციალურ ვაუჩერს მიიღებენ და SISCO-ს ავტორიზებულ გამოცდაზე გასვლის უფლებას მოიპოვებენ. ასეთი სახის პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის გუნდის სახელით თქვენს გაზეთს, თქვენი გაზეთის ყველა მკითხველს და მთლიანად უნივერსიტეტს ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!



აკადემიური განვითარების უზრუნველყოფა



ირაკლი სალარიძე, თსუ-ის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სულ ცოტა ხნის წინ, 13 სამეცნიერო-კვლევითი და 2 სასწავლო ინსტიტუტი შემოუერთდა. ამის საფუძველზე შეიქმნა ერთიანი საუნივერსიტეტო საბიუჯეტო სისტემა. 2011 წლიდან გათვალისწინებულია თსუ-ის ბიუჯეტის გაზრდა, რითაც შესაძლებლობა მოგვეცემა — აკადემიურ პერსონალს გაუზარდოთ ხელფასებზე დანახარები.

ხელფასები, ასევე, მოემატება თსუ-ის დაბალ ანაზღაურებად მოსამსახურეებს: ლაბორანტებს, ინჟინრებს, სპეციალისტებს. თსუ-ის ბიუჯეტის საბოლოო ფორმირების შემდეგ, თუ შესაძლებლობა გვექნება, სხვა პერსონალის ხელფასებსაც გავზრდით, რადგან უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესის განვითარებაში როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი ერთნაირად მონაწილეობს.

როგორც მოგეხსენებათ, თსუ-ში მაგისტრანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებასთან ერთად ნიჭიერ სტუდენტთა ნახალისების ფონდიც არსებობს. ეს ორი ფონდი გაერთიანდება, რის შემდეგაც მივიღებთ ერთიან საუნივერსიტეტო დაფინანსებას, რისთვისაც ბიუჯეტში 600 000 ლარის ოდენობის თანხა გათვალისწინებული. ეს სოლიდური თანხა იმისათვის, რომ სტუდენტს ნორმალური სასწავლო პირობები შევუქმნათ და ტექნიკურად უზრუნველყოთ სასწავლო პროცესი. ეს თანხა საშუალებას მოგვცემს, აგრეთვე, გავზარდოთ სტუდენტთა რიცხვი გაცვლით სასწავლო პროგრამებში.

სიახლეა ისიც, რომ ფაკულტეტებისთვის გამოიყოფა თანხები, რის საფუძველზეც უცხოეთიდან მოწვეული ის პროფესორები დაფინანსდებიან, რომლებიც აქ სალექციო კურსს წაიკითხავენ. ყველა ფაკულტეტის ბიუჯეტშია განვირეცა ეს სახსრები და, რა თქმა უნდა, ის სტუდენტთა სწავლების გაუმჯობესებას მოხმარდება.

დედა. ვიზრუნებთ სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებაზე.



მეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, დისერტაციაც აქ დავიცავი. უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე ოჯახია, მშობლებიც აქ მოღვაწეობდნენ და შვილებიც აქ სწავლობენ. უნივერსიტეტი არსებობდა, არსებობს და, ვისურვებ, იარსებოს იმ ტრადიციამ, რასაც სწავლისა და მიზნისკენ ლტოლვა ჰქვია!

გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა



დავით ჩიქაძე, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— დეპარტამენტის უპირველეს საზრუნავად კვლავ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება რჩება. ჩვენი ვგულისხმობთ ბიბლიოთეკების, აუდიტორიების, ლაბორატორიების, სამუშაო ოთახების და შიდა ეზოების კეთილმოწყობას.


X (მაღლივ) კორპუსში, სადაც უკვე დასრულებულია ოთხი სართულის რეაბილიტაცია, კვლავ გაგრძელდება სარემონტო სამუშაოები, რომელიც შეეხება დამატებით კიდევ ოთხ სართულს, აქვე იგეგმება სკვერების და შიდა ეზოების კეთილმოწყობა. ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია თითქმის დასრულებულია, თუმცა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს არ აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკა, რის გაკეთებასაც უახლოეს მომავალში ვგეგმავთ. ამასთან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს არ აქვს თანამედროვე აღჭურვილი ლაბორატორია და საოპერატორო — ამისთვის დაგეგმილია ფართის გამოყოფა და მისი გარემონტება. უახლოეს მომავალში VI კორპუსში დაიგეგმა საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, რომელიც იქნება როგორც საფაკულტეტო, ასევე საუნივერსიტეტო სარგებლობის. დაგეგმილია, აგრეთვე, ბიბლიოთეკის კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს, დაახლოებით, 4000კვ. მეტრს. ძირითადად დასრულებულია სასწავლო ინვენტარის განახლება-შეცვლა, საერთო რაოდენობიდან დარჩენილია, დაახლოებით, 10 %, რომლის განახლებაც მომავალ წელს დასრულდება.

სულ მალე საუნივერსიტეტო მალაზიაში უნივერსიტეტის სტუდენტები შეძლებენ სახელმძღვანელოების, სხვადასხვა საჭირო სასწავლო ნივთებისა და აქსესუარების შექმნას უნივერსიტეტის ლოგოთი. 2011 წლისათვის თსუ-ის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოყოფილია 600 000 ლარამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ამ მიმართულებით დაფინანსება იზრდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დიდი ყურადღება ექცევა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებას.



ახალი წელი ყოველთვის ასოცირდება ახალი იდეებისა და მიზნების განხორციელებასთან და, მინდა, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს მივულოცო შობა-ახალი წლის დადგომა და ვუსურვო, რომ 2011 წელიწადი ყოფილიყოს წარმატების, სიკეთისა და სიხარულის მომტანი წელი.

ჯანსაღი აზროვნება



ნათელა ლაშვაიანი, პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— პერსონალის მართვის დეპარტამენტის საქმიანობა 2011 წლიდანაც ჩვეულებისამებრ განგრძობს მუშაობას იმის გაცნობიერებით, რომ ხელი შეუწყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს — სრულფასოვნად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესაბამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფუნქციონირებას. დეპარტამენტი სამომავლოდც მაქსიმალურად იქნება კონცენტრირებული მისთვის მინიჭებული ფუნქციების სრულფასოვნად განხორციელებაზე. ჩვენთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დარჩება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა ტრენინგებში ჩართვის გზით; საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ცოდნის მუდმივი განახლება და მისი პრაქტიკაში გამოყენება; უნივერსიტეტის ფაქულტეტებთან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან მუშაობის ეფექტური ფორმებისა და მეთოდების შემუშავება-დანერგვა; ურთიერთთანამშრომლობის სრულყოფის მიზნით საქმიანი შეხვედრების ორგანიზება; თემატურ პრეზენტაციებში მონაწილეობა და ა.შ.

პერსონალის მართვის დეპარტამენტს კვლავ ექნება ჯანსაღი აზროვნება — შეინარჩუნოს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლის კეთილგანწყობა, მოეხდინოს მათ მალაპროფესიონალურ დონეზე კვალიფიკაციურად, კეთილსინდისიერად... ვისურვებდი, ჩვენთან შემოსულმა თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს საქმიანი და თბილი გარემო, გაჰყვას ჩვენთან კვლავ შეხვედრის სურვილი.

ახალ, 2011 წელს, რას ვუსურვებდით უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს? ყველა იმ სიკეთესა და სიხარულს, რასაც ადამიანი უსურვებს თავის ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს, ვისთანაც შეგნებული და საქმიანი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს... ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულიერ სიმშვიდეს, წარმატებებს პირად და ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში!

გულიანობა და სიხარული



ნუსა მცხინაიანი, თსუ-ის კანცელარიის უფროსი:

— თეატრი 'გარდობიდან' იწყება — ამ ცნობილი გამონათქვამის პერფორმირებას თუ მოვახდენთ, ნებისმიერი დაწესებულება კი კანცელარიიდან იწყება... ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს — კანცელარიაში როგორ შეგხვდებიან, როგორ მოგემსახურებიან... მე და ჩემი თანამშრომლები თითოეული ადამიანის მოთხოვნას მაქსიმალურად ვითვალისწინებთ. ჩვენი მოვალეობაა, მიღებული კორესპონდენცია დროულად გადავცეთ შესაბამის სტრუქტურებს, უზრუნველყოთ მათი ადრესატამდე მიტანა და პასუხების დადგენილ ვადაში გაცემა. რა თქმა უნდა, ეს არც ისე იოლი საქმეა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

კანცელარიაში, როგორც თსუ-ის სხვა ადმინისტრაციულ უწყებაში, მრავალი სიახლე იგეგმება. კანცელარიაში მოქმედებს დოკუმენტების ავტომატიზირებული საინფორმაციო-საძიებო სისტემა. მომავალი წლიდან კი მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლა იგეგმება.

მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში ძალიან დიდი დოკუმენტბრუნვაა, რაც საკმაოდ ართულებს მუშაობას. კანცელარიის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია, გაითვალისწინოს და არ დაავიწყდეს ის გარემოება, რომ ყოველი წერილის და განცხადების უკან დგას პიროვნება, რომელიც მოუთმენლად ელის მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და მისი ბედი წყდება. პირადად მე, ისე ვუყურებ თითოეულ განცხადებას, როგორც ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ ფრაგმენტს: ზოგს უჭირს, ზოგს უღბინს... ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია დროულად მიიღონ პასუხი. ხშირად ეს ადამიანები თავიანთ გულისტკივილსაც გვიზიარებენ, გვესაუბრებიან იმ გარემოებებსა და განცდებზე, რომელიც განცხადებით ვერ გამოხატეს. მართალია, ჩვენი ფუნქციებიდან გამომდინარე, შეიძლება, მათ პრობლემა ვერ გადაუწყვიტოთ, მაგრამ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მოვუსმინოთ და ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში — როგორც ექიმმა, რომელმაც, შესაძლოა, ნამალი არ გამოგიწეროს, მაგრამ თავისი გულისხმიერებით და სიტყვით გიმკურნალოს.

წარმატებებს და დასახული მიზნების ასრულებას ვუსურვებ უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს და სტუდენტს. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და მრავალი პრობლემა გადასაჭრელი, ამისთვის კი ბევრი ენერჯია და ხელედაკაპანებული შრომაა საჭირო...

გზა სამართლის საპროფესიო სფეროში



არჩილ კუჭუაშვილი, თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

— იურიდიულ დეპარტამენტში, ისევე, როგორც მთლიანად უნივერსიტეტში, კიდევ უამრავი რამ არის გასაკეთებელი. უმაღლესი განათლების რეფორმა ჯერ არ დასრულებულა და აქტიურად ვმუშაობთ, რათა ის სისტემა, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია, კიდევ უფრო დაიხვეწოს. 2010 წლის მეორე ნახევარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ორგანოები ხელახლა დაკომპლექტდა: ჩატარდა აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოსა და რექტორის არჩევნები. ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებია, რადგან ამ ორგანოებზე დამოკიდებული უნივერსიტეტის ფუნქციონირებაა. ჩვენ, ადმინისტრაცია, მათი გადამწყვეტილებების შემსრულებლები ვართ, ამიტომ რაც უფრო კარგად იქნება გათვლილი ეს გადამწყვეტილება და რაც უფრო სრულყოფილად იქნება შესრულებული, მით უფრო სასიკეთო საქმე გავკეთებთ უნივერსიტეტისთვის. იურიდიული დეპარტამენტი არის ერთგვარი დამხმარე რგოლი, რომელიც ყველაფერში იღებს მონაწილეობას. ჩვენ ვახდენთ ამა თუ იმ გადამწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას და იურიდიულ უზრუნველყოფას. მომავალ წელსაც ასე ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას. ვეცდებით, თსუ-ის არც ერთი სტრუქტურული ერთეული უყურადღებოდ არ დაგვრჩეს.

დღესდღეობით, სასამართლოსთან ურთიერთობა, უნივერსიტეტში, ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია. სამწუხაროდ, არსებობს ადამიანთა ნაწილი, რომლებიც თსუ-ის მუშაობით უკმაყოფილონი არიან. შემოიძლია სიამაყით განვაცხადო, რომ მომავალი წლისთვის, სავარაუდოდ, ყველა სასამართლო პროცესს მოვიგებთ.

მსურს, საახალწლოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს და სტუდენტს ვუსურვო დანაშაულებრივი საქმის წარმატებით დასრულება, მეტი შრომისუნარიანობა და ჯანმრთელობა, რათა მომავალ წელს უფრო მეტის მიღწევა შევძლოთ, ვიდრე 2010 წელს.

მეტი ახალი კონტაქტი



თია ბერბედავა, თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი:

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს, რაც მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების საერთაშორისო გაცვლას და ხელშეწყობას. გაზაფხულზე, ტრადიციულად, გამოვაცხადებთ გაცვლით პროგრამებს რამდენიმე ინგლისურენოვან, გერმანულენოვან, იტალიურენოვან უნივერსიტეტებთან, ამასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგაგრძელებთ 2009 წელს დაწყებულ მუშაობას კამპუსის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვის კუთხით.

ახალი წელი, რომ ორმხრივი გაცვლითი პროგრამები ხორციელდება ტარტუს, ტალინის, ვილნიუსის, კაფოსკარის, ვარშავის, იენის, პოტსდამის უნივერსიტეტებთან. ამასთან დაკავშირებით, ახალი სასწავლო წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პარტნიორ უნივერსიტეტებთან უცხოელი სტუდენტების მიღებას გააგრძელებს.

მომავალი წლის ბოლოს დაგეგმილია პროექტის — „ერასმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა“ ფარგლებში პარტნიორებთან შეხვედრა, რომელიც ყოველწლიურად იმართება და რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს. გარდა ამისა, 2011 წლის თებერვლის დასაწყისში დაგეგმილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ჯგუფის მეშვეობით ჩარჩო-პროგრამის რეგიონალური სესია, რომლის ერთ-ერთი ბენეფიციარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიცაა. სესიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პარტნიორები ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან — სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი გააგრძელებს მუშაობას საზაფხულო სკოლების ფუნქციონირებისთვის, მათ შორის, მნიშვნელოვანია ტალინის უნივერსიტეტთან დაწყებული მოლაპარაკება. სავარაუდოდ, ამ სკოლის ფარგლებში მოხდება ბალტიისპირელი სტუდენტებისთვის ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის საფუძვლების გაცნობა.

შობა-ახალ წელს ვულოცავ ყველა უნივერსიტეტულს... ვუსურვებ მათ წარმატებებს, ბევრ ახალ კონტაქტს, აქტიურ მობილობას საერთაშორისო მასშტაბით, ხალისიან და საინტერესო ცხოვრებას...

ივანე ჯავახიშვილის იუბილეისთვის მზადება



მაია გურბანიძე, თსუ-ის მუზეუმის დირექტორი:

— ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში უამრავი უნიკალური ექსპონატია თავმოყრილი, რომელიც ძვირფასი და ღირებულია ყველა ქართველისთვის, ამიტომ მათ განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მაღლივ კორპუსში მიმდინარეობს და უკვე დასასრულს უახლოვდება ზოოლოგიური, მინერალოგიის და პალეონტოლოგიის მუზეუმების რემონტი, აგრეთვე ხორციელდება ავეჯისა და ექსპონატების სრული განახლება-რეკონსტრუქცია. ასე რომ, მოუთმენლად ველოდებით ჩვენს სტრუქტურაში დაქვემდებარებული სამი დიდი მუზეუმის რესტავრაციას.

როგორც ცნობილია, მომავალ წელს ფართო მასშტაბით აღინიშნება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 135 წლისთავი, რომლის ფარგლებში მრავალი ღონისძიება დაგეგმილია, მათ შორის, საზეიმო ცერემონია, რომელიც რუსთაველის თეატრში გაიმართება, სადაც თსუ-ის მუზეუმში ორი მნიშვნელოვანი ექსპონატით წარსდგება. იუბილის ფარგლებში მოეწყობა სტუდენტთა ფოტოგამოფენა — კონკურსი სახელწოდებით: „ჩემი ქვეყნის ისტორია“, იუბილეს მიძღვნილი ექსპონატით სახელწოდებით — „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“.

ახალი წლის დადგომათა ვულოცავ მთელ საქართველოს და უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს... ვუსურვებ ყველას მშვიდობას, ჯანმრთელობას და, რაც მთავარია, „კაცთა შორის სათნობას“.

თსუ-ის ტექნოლოგიური კლასტორი



არჩილ კუჭუაშვილი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი:

— ჩვენი სტრატეგიული ინიციატივები მოიცავს: online — ადმინისტრირებას, სწავლების მომსახურებას, კვლევის მომსახურებას, უნივერსიტეტის მართვა/პილოტაჟს, სამეცნიერო ინფორმაციის მართვას და ინდივიდუალური სამუშაო გარემოს შექმნას უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისთვის. ამ გეგმის განხორციელება სამი მიმართულებით წარმართება. ესენია: დაწესებულების ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს დამხმარე ფუნქციებს, ინფორმაციის ბაზრის, რომელიც უზრუნველყოფს საეკონომიკურ ფუნქციებს (სერვერების მართვა, ქსელები და ა.შ.) და აკადემიური ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო კვლევებისთვის.

ამ პროგრამის განხორციელება, ჩვენი აზრით, შესაძლებელი იქნება შესაბამისი ქსელური მოწყობილობების შეძენა-დამონტაჟებით. თანამედროვე ქსელური ტექნოლოგიების ბაზარზე აღიარება უკვე მოიპოვა კომპანია ჩისკო-მ, რომლის ჩართვის დონის კომპლექტები უზრუნველყოფენ პორტების დიდ რაოდენობას მომხმარებელთა ჩასართავად. ამ აპარატურის შექმნა დროსა და გარკვეულ თანხებს მოითხოვს. ჩვენი გეგმებით, დაახლოებით მილიონი ლარი დასჭირდება საჭირო აპარატურის შეძენას და დამონტაჟებას. ამ აპარატურის დანერგვით უნივერსიტეტი მიიღებს ცენტრალიზებულ, მაღალსიჩქარიან, დაცულ, ოპტიმიზირებულ მონაცემთა გადაცემის ქსელის სისტემას. ეს საშუალებას მოგვცემს გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ინფორმაციული ქსელის უსაფრთხოება, უნივერსიტეტის კორპუსებს შორის კომუნიკაცია, თითოეული კორპუსის შიდა ქსელებს შორის კომუნიკაცია და საერთო ქსელის მენეჯმენტი და მობილობა.

მინდა, რომ 2011 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქსელის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების წელი იყოს.

სტამბა განახლება



თამარ ბერბელიძე, თსუ-ის გამომცემლობის დირექტორი:

როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც, ახალი წელი განახლებას და ახალ იმედებს უკავშირდება. დეკემბრის ბოლოს, როცა დღე მატებას იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ ბევრი იცვი კვირა გველოდება, რატომღაც შეგრძნება მიჩნდება, რომ ზამთარი უკვე დამთავრდა და, შესაბამისად, საგაზაფხულო განწყობა მუფლდება. ყველას ვულოცავ ამ „გაზაფხულის“ მოახლოებას!

სამართლიანობის აღდგენის გარანტი

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ახალი შემადგენლობა და პრეზიდენტი სტუდენტებმა 2010 წლის გაზაფხულზე აირჩიეს, თუმცა ამ პერიოდში სტუდენტებმა გუნდური მუშაობის პრინციპით მრავალ სასიკეთო ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი და მათი ინიციატივით არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. მომავალი წლიდან სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი სტუდენტებს უფრო მინარსიან და ხალისიან სტუდენტურ ცხოვრებას უზრუნველყავს. სწორედ ამ თემებზე გვესაუბრება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ღარიბი ბუბაძე.

შურისა გაროშვილი

— რა სიახლეებს პირდება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებს?

— მომავალი წლიდან სტუდენტური თვითმმართველობა მრავალი საინტერესო პროექტის და ღონისძიების განხორციელებას გეგმავს.

— როგორ განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობა თავის პრიორიტეტებს და რამდენად იქნება გათვალისწინებული მათი ინტერესები?

— რა თქმა უნდა, სტუდენტური თვითმმართველობა სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით განხორციელებს ყველა იდეას, სამომავლო გეგმებიც ამის მიხედვით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ერთ-ერთი წინასწარჩვენი დაპირება იყო სტუდენტთა უფლებების დაცვისა და განათლების დეპარტამენტის მუშაობის ინტენსივობის გაზრდა — ამ კუთხით ჯერ ისევე ბევრია გასაკეთებელი. თვითმმართველობის პრიორიტეტად კვლავ განათლებისა და სტუდენტთა დაცვის პრობლემები რჩება, რომელზეც შესაბამისი დეპარტამენტები მუშაობენ. პირადად ჩემი მიზანია, რომ 2011 წლის ბოლოს თსუ-ის სტუდენტური თვით-

მმართველობის სტუდენტთა დაცვის დეპარტამენტი იყოს ყველაზე პოპულარული და ქმედითი სტუდენტებთან მიმართებაში, რადგან მიუხედავად ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ხელშეწყობისა, სტუდენტებს კვლავ მრავალი პრობლემა აქვთ მოუგვარებელი და ხშირად ირღვევა მათი უფლებები. ჩვენი სურვილია, თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს იმის გარანტია, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისას დეპარტამენტი მუდამ იყოს სამართლიანობის აღდგენის გარანტი.

რაც შეეხება განათლების დეპარტამენტს, ამ კუთხით ჩვენ გეგმავთ მარტში მოგაწყოთ წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების პრეზენტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დეპარტამენტი მრავალი პროექტის განხორციელებას გეგმავს. ასევე, უფრო გააქტიურებენ თავიანთ საქმიანობას ტურიზმის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტები, რომლებიც მომავალი წლიდან უფრო ინტენსიურად ჩაერთვებიან სხვადასხვა პროექტებში.

— კონკრეტულად, რა ღონისძიებების და პროექტების განხორციელება იგეგმება?

— იანვრის შუა რიცხვებში ჩავატარებთ შემადგენელ პრეზენტაციას, სადაც სტუ-

დენტებთან ერთად მონაწილეობას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მიიღებს. სტუდენტური თვითმმართველობა ადმინისტრაციას წარუდგენს ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობის დეტალურ ანგარიშს.

სამართლედ გითხრათ, როდესაც შევაჯამებთ ამ სემესტრში განხორციელებულ ღონისძიებებს, აღმოჩნდა, რომ საკმაოდ დიდი სამუშაოა გაწეული სტუდენტთა ნახალისების მიზნით.

წინასწარჩვენი ჩვენ, ასევე, დაგვირდით სტუდენტებს, რომ გაიზრდებოდა დაფინანსება მათი უცხოეთში სასწავლებლად წასვლის მიზნით და, ამ კუთხით, მათი დროული ინფორმირება მოხდებოდა. შესაბამისად, წინა სემესტრში სტუდენტურმა თვითმმართველობამ დააფინანსა 166 სტუდენტი. გარდა ამისა, ჩვენი ინიციატივით აღდგა უნივერსიტეტში მივიწყებული ტრადიცია — „სტუდენტური დღეები“.

2011 წლის აგვისტოში, ჩვენი შემდგომი ორწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება — სტუდენტური ფესტივალი სახელწოდებით: „ერთა ხმა“ გაიმართება. ეს იქნება უნივერსიტეტთაშორის სტუდენტური ფესტივალი, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის იქნება. დაგეგმილი გვაქვს 14 ქვეყნის სტუდენტური ანსამბლების ჩამოყვანა და ეს იქნება თსუ-ის თვითმმართველობის ორგანიზებით უნივერსიტეტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ახალგაზრდული ღონისძიება. ასე რომ, სტუდენტებს წინ საინტერესო და ხალისიანი დღეები ელით.



მინდა, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს მივულოცო შობა-ახალი წელი. ვუსურვებ ყველას, რომ მომავალი წელი მათთვის წაყოფიერი და წარმატებული ყოფილიყოს. ვპირდებით მათ, რომ სასიამოვნო და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება ელოდებთ.

ასევე, მინდა, შობა-ახალი წელი მივულოცო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციას, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად.



ჯერ სწავლა და მერა კულტურა და სპორტი



მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღწეული სპორტული და შემოქმედებითი წარმატებების შესახებ გვესაუბრება თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ხარაჯაშვილი.

— სასწავლო წლის დაწყებისთანავე კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა აქტიურად დაიწყო სხვადასხვა შემოქმედებითი თუ სპორტული პროექტების განხორციელება. ჩვენი ცენტრის და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, 20 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ვარდების მოედანზე თსუ-ის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ ანსამბლები: „თსუ გორდელა“, „უნივერსიტეტი“, „უნივერსიტეტი — 2“ და პოპულარული ჯგუფი „მგზავრები“. კონცერტს თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდანაც უამრავი სტუდენტი დაესწრო და ახალგაზრდების დიდი მონონებაც დაიმსახურა.

თსუ-ის ქართული ტრადიციული მუსიკის ქალთა ანსამბლი „თსუ — გორდელა“ დიდი წარმატებით მონაწილეობს საქართველოს მასშტაბით გამართულ ფოლკლორულ კონცერტებზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ანსამბლს „წლის საუკეთესო ანსამბლის“ ნიშანი მიენიჭა, „გორდელას“ კარი ღიაა ყველა იმ ნიჭიერი სტუდენტისთვის, რომელიც დაინტერესებულია და უყვარს ქართული ხალხური ფოლკლორი. დღეისათვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ქართული ტრადიციული მუსიკის ქალთა ანსამბლი „თსუ — გორდელა 2“.

აქვე უნდა ითქვას, რომ თსუ-ის თეატრალური დასი „სხვენი“ წარმატებით მოღვაწეობს. ოქტომბერში გამოცხადდა მსახიობების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც უამრავმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

დასის მიერ დადგმულმა სპექტაკლებმა თეატრალური საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა. 21 დეკემბერს ლაშა თაბუკაშვილის პიესის „ჭრილობის“ პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

თსუ-ის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ღირსეულად განაგრძობს ტრადიციას და წარმატებით მონაწილეობს არაერთ კონცერტსა თუ ღონისძიებაში. ოქტომბერში ანსამბლი ახალი წევრებით შეივსო. იმედია, სტუდენტები წარმატებით შეძლებენ შემოქმედებითი ნიჭის რეალიზებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“, რომელიც უამრავი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო გრან-პრის მფლობელია. ნელს, სექტემბერში, ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე მას „საუკეთესო ანსამბლის“ ნიშანი მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ თსუ-ის „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“ საქართველოს ჩემპიონია.

მოგესხებათ, რომ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის დაარსებას საფუძველი XX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა. მან-სან-კან-მა თავისი წარმატებების მწვერვალს გასული საუკუნის 90-იან წლებში მიაღწია. კლუბის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა ნიჭიერმა იუმორისტებმა, როგორებიც არიან: დავით გოგიანიშვილი, ალექო მალხაზიშვილი, ვანო ჯავახიშვილი და სხვ. თსუ-ის „მან-სან-კან“-ის გუნდი დღეს საქართველოს ჩემპიონია. რაც შეეხება უნივერსიტეტის მასშტაბით ჩატარებულ შიდა ჩემპიონატს, იგი ყოველწლიურად იმართება. მასში უნივერსიტეტის ექვსივე ფაკულტეტის სტუდენტები ერთმანეთს პირველი ადგილისთვის ეჯიბრებიან. მიმდინარე წლის 12 ნოემბერს, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩემპიონატის პირველი ტური გაიმართა, რამაც სტუდენტების მონონება და ინტერესი დაიმსახურა. 25-26 დეკემბერს გაიმართა მეოთხედინალური შეხვედრა გუნდებს „მალივე“, „გედევან ფოფახის ექვსეული“, „ლასსტუდენტას“ „ყვითელი ავტობუსი“, „ფანტომასი“ და „პოპლა“ შორის, გამოვლინდა 4 გამარჯვებული გუნდი („გედევან ფოფახის ექვსეული“, „ლასსტუდენტას“, „ფანტომასი“ და „პოპლა“), რომელთა შორის ორ საუკეთესო გუნდს გადაეცა 300 ლარი, ხოლო დანარჩენ ორს — 200 ლარი. ეს გუნდები 2011 წლის იანვარში მონაწილეობას მიიღებენ ნახევარფინალურ შეჯიბრში.

ჩვენი დეპარტამენტის ინიციატივით, თსუ-ში განახლდა ხელბურთის სექცია. ჩამოყალიბდა თსუ-ის ნაკრები გუნდი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში იღებს მონაწილეობას და, ამჟამად, სატურნირო ცხრილის მეორე პოზიციაზე იმყოფება. ხელბურთელთა სტუდენტური გუნდი მონაწი-

ლეობას მიიღებს უნივერსიადებსა და საერთაშორისო სტუდენტურ ტურნირებში.

განახლდა ფრენბურთის სექციაც, ქალ ფრენბურთელთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა საქართველოს ჩემპიონატში და ნახევარფინალში გავიდა. ფინალისთვის ბრძოლა გაიმართება, სავარაუდოდ, მომავალი წლის მაისში. სტუდენტ ფრენბურთელ ქალთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო უნივერსიადებსა და, ამჟამად, სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფება. ასევე, წარმატებით ფუნქციონირებს ვაჟ ფრენბურთელთა სექციაც.

თსუ-ის ალპინიზმის კლუბის მიერ წარმოებულ ლაშქრობაში მონაწილეობა 100-მდე სტუდენტმა მიიღო.

უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა მაგიდის ჩოგბურთის, მშვილდოსნობის, ძალოსნობის, კარატის და მკლავჭიდის სექციებიც, რომელში ჩაბმის მსურველი სტუდენტთა შორის ბევრია.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის ფეხბურთელთა სტუდენტურმა გუნდმა „თსუ“-მ უნივერსიადებს ტურნირის პირველი ეტაპი წარმატებით დაასრულა. ხოლო „მინი ფეხბურთის“ გუნდი უმაღლეს ლიგაში III პოზიციაზე იმყოფება და „საქართველოს ჩემპიონის“ ნიშანს მოსაპოვებლად იბრძვის.

თსუ-ის ვაჟ კალათბურთელთა გუნდი 1925 წელს შეიქმნა, ხოლო 1928 წელს მან უკვე საქართველოს ჩემპიონის ტიტულის დაუფლება შეძლო. უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდნენ ისეთი ლეგენდარული კალათბურთელები, როგორებიც იყვნენ: ნოდარ ჯორჯიკია, სულიკო თორთლაძე, მიხეილ კეკელიძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ გუნდმა, დღესდღეობით, გასული საკალათბურთო სეზონის ვერცხლის მედალოსანი გუნდის ძირითადი ნაწილის შენარჩუნება მოახერხა და, კალათბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებული პროექტის წყალობით,



უკეთეს შედეგებს მიაღწია. გუნდი დღეს უკვე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია და ოქროს მედალების მოპოვებისთვის იბრძვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უნივერსიტეტის ვაჟთა საკალათბურთო გუნდი ერთადერთია, რომელიც მუდმივად ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატში, სახელოვანი კალათბურთელების — დუდუ დადიანისა და ქორქია-საკანდელიძის სახელობის მემორიალში, ასევე, საქართველოს თასის გათამაშებაში. რაც შეეხება თსუ-ის სტუდენტურ საკალათბურთო გუნდს, იგი მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში და პირველი ჩატარებული ტურის შემდეგ ცხრილის სათავეშია. ასევე, აღსანიშნავია ქალთა საკალათბურთო გუნდის წარმატებები — იგი საქართველოს შვიდგზის ჩემპიონია.

მოგესხებათ, რომ თსუ-ის სტუდენტურ ფესტივალს — „სტუდენტური დღეები“, დიდი ტრადიცია გააჩნდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. მასში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მომღერლები, როგორებიც არიან: ნუკრი კაპანაძე, მაია ჯაბუა, თამარი-კო ჭოხონელიძე და სხვები. სამწუხაროდ, „სტუდენტურმა დღეებმა“ მხოლოდ 9 წელი იარსება. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა ამ ლამაზი ტრადიციის აღდგენა მოახერხა და მიმდინარე წლის 22, 23 და 24 დეკემბერს „სტუდენტური დღეების“ ფარგლებში არა ერთი ღონისძიება გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ თსუ-ის ექვსივე ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც თავიანთი ნიჭიერებითა და უნარ-ჩვევებით გამოიჩინეს. სტუდენტური დღეების დასკვნით ეტაპზე გაიმართა გალა-კონცერტი, რომელზეც საუკეთესო შემსრულებლებს გრან-პრი გადაეცათ.

რას ვგეგმავთ მომავალი წლიდან? მოკლედ მოგახსენებთ: ვაპირებთ უნივერსიადებს ყველა სახეობაში მონაწილეობის მიღებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო სტუდენტურ ჩემპიონატებზეც.


2011 წლის მაისში დაგეგმილია სტუდენტებისათვის ლაშქრობის მონაწილეობა ალპურ ზონაში.

2011 წელს იგეგმება სტუდენტური მუსიკალური ბენდისა და კაპელას ჩამოყალიბება. 2011 წლის ივლისის ბოლოს თსუ-ის ორგანიზებით გაიმართება საერთაშორისო ფესტივალი „ერთა ხმა“, რომელიც საქართველოს ოთხ ქალაქში: ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ურეკში გაიმართება.

უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და უფლის მფარველობას, მომავალი წელი ყოფილიყოს საქართველოს გაძლიერებისა და გამთლიანების წელი!



„სუსიპილიანი“ უნივერსიტეტი



წარმოიდგინეთ: მწვენი და ყვავილნარში ჩაფლული რატუმა, სადაც გრძელ დერეფანში ფრაკებში გამოწყობილ პაუზებს ხელში სანთლები უჭირავთ და თეთრი დარბაზისკენ უნათებენ გზას, იქ კი თეთრი როიალზე შოპენის ვალსს უკრავენ, დარბაზი სავსეა ულამაზესი ქალებით, მათ შორის ერთ-ერთი მისი რჩეულია, დარბაზი სავსეა ყვავილებით და საჩუქრებით... შეკრებილი საზოგადოება, მათასი სტუმარი, მალე მომსწრე გახდება ქართულ ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი წველის ცეცხლოვანი ცეკვისა... მეორე დღეს კი, წვეილებს ახალი სიურპრიზი ელთი, ადრიატიკის ზღვის სანაპირო და ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გატარებული თაფლოების დაუფინყარი დღეები.

შურისა ბაროვილი

ეს ამბავი ზღაპარს კი ჰგავს, მაგრამ ზღაპარი არ არის. ეს დიდი ხნის წინ, ქალაქ ლუბლიანაში მოხდა, სადაც მსოფლიო ქორნილი გაიმართა და 18 ქვეყნიდან მოწვეულმა საუკეთესო წვეილებმა ერთად აღნიშნა ეს დღე, საქართველოდან ეს პატივი, როგორც ერთ-ერთ ულამაზეს წვეილს, თენგიზ ყურაშვილს და მის მეუღლეს ნელი ხაჭორიას ერგოთ. სხვათაშორის, იმ საჩუქრებში, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი დისკიც იყო, რომლის მოსკოვის საბაჟოზე აღმოჩენამ კინაღამ საბედისწეროდ დაასრულა ეს ბედნიერი მოგზაურობა. დისკზე ჩანერილი იყო საბჭოთა კავშირში აკრძალული რომანის, ბორის პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“ მიხედვით გადაღებული ფილმიდან მუსიკა — სწორედ ეს გახდა მისი უშიშროებაში დაბარების მიზეზი. ახალგაზრდა მოცეკვავემ ახლაც გრძელი დერეფანი გაიარა, თუმცა ამჟამად აღარც პაუზები ჩანდნენ და არც თეთრი დარბაზი შეუძღვნენ. ცხადი იყო, რომ თუ ამ ამბავს სერიოზულად შეხედავდნენ, ველარასოდეს

იცივებდა, მაგრამ ამჟამადაც გაუმართლა. ამგვარი საოცარი, ზღაპარს მისგავსებული ამბავი საგაზეთო ინტერვიუსთვის მოწვეული ჩემი რესპონდენტისგან, თსუ-ის კულტურის და სპორტის უფროსი სპეციალისტისგან მოვისმინე, რომელიც იმ პირობით დავითანხმეთ ინტერვიუზე, რომ პირად ცხოვრებაზე არისაუბრებდა, თუმცა შემდეგ ინტერვიუ გულახდლილ საუბარში გადაიზარდა. ბატონ თენგიზ ყურაშვილს უნივერსიტეტში ყველა იცნობს, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს, არც მარტო იმიტომ, მას ყველა სარუბიციო დარბაზში შეხვედებით, სადაც სხვადასხვა, მისი თაოსნობით შექმნილი ანსამბლი თუ თეატრალური დასი მუშაობს, იგი ახალგაზრდებისთვის ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეინარჩუნო სახეზე ღირსი და იმედი, მაშინაც კი, როცა ცხოვრება არ გაჯილდოებს ყვავილებით და სიურპრიზებით. ის, რომ ჩემს ცხოვრებაში არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა ამგვარი „საოცრებები“, ვუმაღლი ღმერთს და დედაჩემს, რომელიც

ეკლესიაში ათენებდა და ალაშქრებდა, ჩვენც გვერდიდან არ გვიშორებდა. სწორედ მან მასწავლა სწორად აზროვნება, გვეუბნებოდა: ნუ ეცდებით, ვინმეს გადაასწოროთ და აჯობოთ, ამით მხოლოდ მტერს გაიჩენთო. ის, რომ, ჩემი ცხოვრება ცეკვას დაუკავშირდა, ესეც მისი დამსახურებაა...“

სცენის სიბლი

12 წლის იყო პიონერთა სასახლეში ცეკვის ნრეზე რომ შევიდა, პირველი წარმატებაც მალე მოვიდა. 1957 წელს მოსკოვში ქართული კულტურის დეკადის დღეებში მონაწილეობის მისაღებად სხვებთან ერთად ისიც გაემგზავრა. სუსიპილების ანსამბლში მოხვედრაზე მაშინ ოცნებაც არ შეიძლებოდა და ამიტომ მეგობართან, ჯუმბერ დონდუასთან ერთად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან არსებულ ანსამბლში გააგრძელა ცეკვა, რომლის ბაზაზე შემდგომში ანზორ ერქომაიშვილმა და რეზო ჭოხონელიძემ, მაშინდელი რუსთავის კულტურის განყოფილების გამგის რეზო მორჩილადის ხელშეწყობით, ჩამოაყალიბეს სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“.

სუსიპილების ანსამბლში მოღვაწეობამ კი მართლა შეცვალა თენგიზ ყურაშვილის ცხოვრება. საუბრის დროს იგი „ცეკვის“ მაგვრად „მუშაობას“ ხმარობს, რადგან... „ეს იყო ყოველდღიური თავდაუზოგავი მუშაობა, „სუსიპილებში“ თავის დამკვიდრება თუ გინდოდა, ცხოვრების წესი მთლიანად უნდა შეეცვალა, წვერგაუპარსავი რეპეტიციანზეც კი ვერ მიხვიდოდი, სულ ფორმაში უნდა ყოფილიყავი. ნინო რამიშვილთან და ილიკო სუსიპილთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. ქალბატონი ნინო, როგორც ერთმა ჟურნალისტმა დაახასიათა, „მკაცრად მომთხოვნი“ იყო. მართალია, მეც ხშირად მომხვედრია მისი სახეზე, თუმცა, პირად ურთიერთობაში იგი საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი ბრძანდებოდა. ანსამბლთან ერთად სამოცდაათზე მეტ ქვეყანაში ვიმოგზაურეთ. მაშინ სავალდებულო იყო გემოური კონცერტები ჩაგვეტარებინა, წელიწადში საქართველოში 100 და საბჭოთა კავშირის მასშტაბით 100 კონცერტის გამართვა გვინევდა. ამდენივე — საზღვარგარეთ, ეს კი კოლოსალური შრომასა და გამძლეობას მოითხოვდა.“

მასსოვს, 1974 წელს ავსტრალიაში 105 დღეში 102 კონცერტი გავმართეთ, მაგრამ არ ვწუნუნებდით, თითოეულ ჩვენგანს კარგად გვემდებოდა გაცნობიერებული, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის სახელით გამოვდიოდით, ქართველები ვიყავით და ქართული კულტურა გავგვქონდა, ქალბატონი ნინო ამას ყოველი კონცერტის წინ გვახსენებდა.“

მისგან დღესაც შიქლაბა სწავლა

1978 წელს თენგიზ ყურაშვილს დაუკავშირდა მაშინდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბის დირექტორი შოთა ნარსია და მასთან მუშაობა შესთავაზა. რჩევა თენგიზ სუსიპილს ჰკითხა, რომელთან ერთად ვ წლის მანძილზე იმუშავა. „სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა ანსამბლი „მთანმინდა“, რომელიც სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ანსამბლმა მალე მოიპოვა წარმატება. კომპოზიციის ცეკვამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გავგვგზავნა. მოგზაურობა დაემთხვა თბილისის „დინამოს“ და „კარლ ცაისის“ თამაშს, რაც ჩვენთვის უდიდესი ბედნიერება იყო, რადგან იმ წელიწადს გახდა თბილისის „დინამო“ ევროპის ჩემპიონის თასის მფლობელი, ეს ჩვენთვის დაუფინყარი მოგზაურობა იყო.“

1987 წელს თენგიზ ყურაშვილი მაშინდელი კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის ბუხუტი კაპანაძის ინიციატივით, სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. 1990 წელს მას ამ ცენტრის დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა, 1992 — 2003 წლებში კი დირექტორად მუშაობდა.

ასეთი დროც იყო, როცა ეუბნებოდნენ, რა დროს ცეკვა და სიმღერა, გარეთ ომია, დაკეცი კარები და დაანებე ყველაფერს თავიო, მაგრამ არც მაშინ დაუკარგავს რწმენა, პირიქით, თვითონ ამხნვევებდა სტუდენტებს. ის კი არა, 1991 წელს მან-სან-კანის გუნდიც კი ჩამოაყალიბა, მათგან ზოგიერთი უკვე ქართული შოუბიზნესის ცნობილი სახეა. მისი მოღვაწეობის დროს არაერთი ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი შეიქმნა, რომელსაც ბატონი თენგიზი, ამჟამად, როგორც თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტი კურირებს. როგორც თვითონ აღნიშნავს, ცენტრის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის ხელშეწყობით, უნივერსიტეტში საინტერესო კულტურული ცხოვრება აქვთ სტუდენტებს, მათ შორის, აღდგა მან-სან-კანის ტრადიციაც. ყველა ნიჭიერ სტუდენტს საშუალება აქვს გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი.

ბატონი თენგიზისგან დღესაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება (თუნდაც ლამაზად სიარულს), მას ყველა იცნობს და აფასებს. თუ როდისმე რომელიმე მწერალი ან რეჟისორი რჩევას მკითხავდა, მოეძებნა პერსონაჟი, რომლის ცხოვრება ხანდახან ზღაპარსაც კი ჰგავს, მე მას სიამოვნებით გავაცნობდი უნივერსიტეტის კოლორიტს — თენგიზ ყურაშვილს.

ნაპირობი

მსოფლიო რეკორდსმენი თსუ-დან

საქართველოს ხუთე ზის და მსოფლიოს ორგ ზის ჩემპიონმა ლევან ციციშვილმა ათლეტიკაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან შეჯიბრის 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა და 355 ფუტის სიმაღლის შტანგა ახსნა, რაც, დაახლოებით, 155 კილოგრამს უდრის. მსოფლიო ჩემპიონატი ათლეტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ატლანტიკ სიტში ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოო შედეგების მიხედვით ლევან ციციშვილმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ნათო მოგლაქაძე

ათლეტიკაში საქართველოს ნაკრების ყველაზე პატარა წევრი ლევან ციციშვილი თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური თეორიის მიმართულების მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტი გახლავთ. იგი ათლეტიკაში პირველად თსუ-ში დაინტერესდა და მწვრთნელის ზურაბ ჭავჭავანიძის მეთვალყურეობით დაიწყო ვარჯიში. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ამ სახეობაში მხოლოდ ორი წელია ვარჯიშობს, უკვე არაერთ სხვადასხვა რანგის ჩემპიონატზე მოიპოვა წარმატება.

„ვარჯიში დიდ დროს მოითხოვს — კვირაში სამჯერ, დაახლოებით, 4 საათის განმავლობაში მიწვეს დარბაზში ყოფნა. გადატვირთული გრაფიკის გამო, ძირითადად, ღამე ვსწავლობ. ვცდილობ, სპორტის გამო სწავლას არ ჩამოვრჩე, რადგან განათლება ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია. უნივერსიტეტი დიდ დახმარებას მინებს, რათა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მივიღო. ამჯერადაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად თანხა, ნაწილობრივ, თსუ-ის სტუდენტურმა თვით-


მმართველობამ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გამომიყო, რისთვისაც მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო“, — განაცხადა ლევან ციციშვილმა.

წარმატებული სპორტსმენი საკმაოდ წარმატებული სტუდენტიცაა. როგორც გაირკვა, იგი ყველაზე დიდ დროს უთმობს სწავლას და უნივერსიტეტს, სპორტი კი ერთგვარი ჰობია, რომელიც მის ცხოვრებას საინტერესოს ხდის. თუმცა მისი ინტერესები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ლევან ციციშვილი მხატვრობის, კლასიკური მუსიკის და ფოტოგრაფიის მოყვარულია. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლებით კმაყოფილია, თუმცა იმ პრობლემებზეც გვესაუბრა, რაც პოლიტოლოგიის მიმართულებაზე სტუდენტების სწავლის პროცესს, გარკვეულწილად, აფერხებს. ერთ-ერთი საკითხი ამ მეცნიერებაში ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის დეფიციტია — ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული აქტუალური პრობლემაა, რომლის შესახებაც, სტუდენტებთან ერთად, პროფესორ-მასწავლებლებიც ხშირად საუბრობენ. ლევან ციციშვილი თსუ-ში პოლიტოლოგიის მიმართულებაზე ბიბლიოთეკის გახსნის აუცილებლობაზეც გვესაუბრა, რაც

სტუდენტების უმრავლესობის სურვილიც გახლავთ.

ახალგაზრდა სპორტსმენი სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ გეგმავს. არჩევანი დიდია — ლევან ციციშვილი ამერიკის

ან ევროპის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში აპირებს ცოდნის გაღრმავებას და, შეთავსებით, ათლეტიკაში ჩემპიონატებშიც გეგმავს მონაწილეობას.



სულისთვის დროულად მიწოდებული „აპი“



შურთისა ბაროვილი

საქართველოს მეფეების, დედოფლებისა და ქართული თეატრალური მოღვაწეების ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, რომლებიც ამჟამად „ქართულ ლუვრად“ ნოდებულ თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება, იმ ადამიანის დამსახურებაა, რომელმაც საბჭოთა რეპრესიების დროს მოახერხა მათი თავმოყრა და, რომელმაც, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს.

1927 წელს ამიერკავკასიაში პირველი თეატრალური მუზეუმის დააარსებელმა ძალზე რთული და საინტერესო ცხოვრება განვლო და სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. ეს ადამიანი დავით არსენიშვილია, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა აისახა საპატრიარქოს ტელევიზიის მიერ განხორციელებულ ტელეპროექტში, რომლის ფარგლებში რეჟისორმა ნიკოლოზ არიშვილმა გადაიღო ფილმი — „იყო კაცი, მსახური და რაინდი ხელოვნებისა — დავით არსენიშვილი (პორტრეტი „ეთსულოვნების“ გაღერებად). ფილმმა ბათუმის საერთაშორისო მართლმადიდებლურ კინო-ფესტივალზე მთავარი პრიზი — „წმინდა ანდრეას ჯვარი“ მოიპოვა. სწორედ ამ ფილმის ჩვენებით გაიხსნა საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ ახალი დარბაზი, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, წმინდა სინოდის წევრები, საქართველოს პარლამენტის წევრები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი ბათუმში 2006 წლიდან ტარდება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა კურთხევით, დევიზით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა სათნოება“ და კინოს ერთ ღვთის სიტყვის გავრცელებას ემსახურება. „ფესტივალი მნიშვნელოვანი მოვლენაა... მინდა,

დავლოცო მისი ინიციატორები... ვფიქრობ, რომ ეს არის შესანიშნავი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში კინოხელოვნების განვითარებას“ — ასეთია პატრიარქის აზრი კინოფესტივალთან დაკავშირებით.

განახლებული დარბაზის გახსნა დამსწრე საზოგადოებას ტელევიზიის დირექტორმა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ მიულოცა: „მიხარია, რომ საპატრიარქოს ტელევიზიის შენობაში კიდევ ერთხელ გვეძლევა მართლმადიდებლურ ფესტივალზე გამარჯვებული ფილმების ნახვის შესაძლებლობა, რომელთა საშუალებით იქადაგება ღვთის სიტყვა და ჭეშმარიტი სარწმუნოება. გვამაყვება, რომ ჩვენი ტელევიზიის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ გადაღებულმა ფილმმა ხელი შეუწყო უდიდესი საზოგადო მოღვაწის — დავით არსენიშვილის პიროვნების რეაბილიტაციას. ღმერთი, სამშობლო და ადამიანი — ამ ღირებულებებს დაეფუძნება მომავალში ჩვენი ქადაგება“, — მიმართა მიტროპოლიტმა პეტრემ საზოგადოებას.

საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ დარბაზის გახსნის ცერემონიაზე ფესტივალის ორგანიზატორმა მათე ტაკიძემ მართლმადიდებლური ფილმების მნიშვნელობასა და მის პოპულარიზაციაზე ისაუბრა. მან თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს, ტელევიზიის ხელმძღვანელს მეუფე პეტრეს და ბათუმისა და ლაზეთის, კანადისა და ამერიკის სამრევლოების მიტროპოლიტს მეუფე დიმიტრის.

„ღვთის სიტყვა ყოველთვის იმიტომ იქადაგება, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოექცეს ჭეშმარიტ რწმენაზე, კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა შეიყვაროს გულით საკუთარი სამშობლო, გააცნობიეროს მართლმადიდებლური ეკლესიის მისია, რამაც, უდაოდ, უდიდესი როლი შეასრულა და შეასრულებს კიდევ მომავალში ჩვენი ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მხრივ. გვახარებს ის ფა-



ქტი, რომ ფესტივალის ეგიდით ამ ულამაზეს დარბაზში წარმოვადგენთ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვებულ იმ ფილმებს, რომელთა თემატიკა მართლაც მრავალმხრივი და საინტერესოა,“ — განაცხადა მათე ტაკიძემ.

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ დავით არსენიშვილზე საუბრისას თურქეთში მცხოვრები ქართველის სიტყვები გაიხსენა: „არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ უკვდავებისათვის და არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ საკუთარი ხალხისათვის“, დავით არსენიშვილი იყო ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა საკუთარი ხალხისათვის და ამით უკვდავება მოიპოვა. ჩემთვის, როგორც ამ მუზეუმის დირექტორისთვის, დიდი პატივი იყო — მენახა ფილმი დავით არსენიშვილზე. ამისთვის მადლობას ვუხდის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს, რომლებმაც, საქართველოში პირველად, მოიფიქრეს და გადაიღეს ფილმი იმ ადამიანზე, რომელმაც დააფუძნა თეატრალური და ლიტერატურის მუზეუმები და რომელმაც აწიხს ხატის ეკლესია დანგრევებისგან იხსნა... იგი უხმაუროდ წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ხმაურისა და საქმეების დატოვა,“ — განაცხადა გიორგი კალანდიამ.

საპატრიარქოს ახლად გახსნილ დარბაზში ბათუმის საერთაშორისო მართლმადიდებლურ ფესტივალზე გამარჯვებული ფილმ-

ბის კინოჩვენება ორ დღეს გაგრძელდა. ფესტივალის ორგანიზატორის მათე ტაკიძის ინფორმაციით, წლებანდელი კინოფესტივალი მრავალი სიახლით იყო გამორჩეული — მათ შორის სტუდენტური ფილმების ნომინაციის დამატება. ამ ნომინაციაზე წარდგენილ ფილმთა შორის მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა თეონა გეგენიძემ და თათია კიბაბიძემ ფილმისთვის „სამშობლო ხარ ჩემთვის“. მათ მნიშვნელოვანი პრიზი — „სიგელ გუჯარი“ დაიმსახურეს.

„სამომავლოდ იგეგმება ფესტივალის იმ ქვეყნებში გამართვა, სადაც ქართული დიასპორას უფრო მეტი წარმომადგენელი ცხოვრობს. უახლოეს მომავალში ფესტივალი გერმანიასა და ინგლისშია მიწვეული. იმედია, უცხოელი მასურებელი დაინტერესდება იმ თემატიკით, რომელიც ამ ფილმებში აისახა.

წლებანდელ კინოფესტივალზე ქართულ ფილმებთან ერთად წარმოდგენილი იყო უცხოური ფილმებიც, მათ შორის, პოლონეთის, უნგრეთის, უკრაინის, სლოვაკეთისა და სხვა ქვეყნის ნამუშევრები. ეს ფილმები მთელი წლის მანძილზე ნაჩვენები იქნება საპატრიარქოს ტელევიზიით. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, თითოეული ფილმი ადამიანის სულიერ კათარზისს ემსახურება, რაც ჩვენი საზოგადოების გაჯანსაღებისთვის დროულად მიწოდებული „აპია“.

საპატრიარქოს ახლად გახსნილ დარბაზში ბათუმის საერთაშორისო მართლმადიდებლურ ფესტივალზე გამარჯვებული ფილმების კინოჩვენება ორ დღეს გაგრძელდა. ფესტივალის ორგანიზატორის მათე ტაკიძის ინფორმაციით, წლებანდელი კინოფესტივალი მრავალი სიახლით იყო გამორჩეული — მათ შორის სტუდენტური ფილმების ნომინაციის დამატება. ამ ნომინაციაზე წარდგენილ ფილმთა შორის მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა თეონა გეგენიძემ და თათია კიბაბიძემ ფილმისთვის „სამშობლო ხარ ჩემთვის“. მათ მნიშვნელოვანი პრიზი — „სიგელ გუჯარი“ დაიმსახურეს.



ქართული სოკრატე – უცნობი მერაბ მამარდაშვილი

მეექვსე გვერდიდან

მაინც რა იყო მამარდაშვილის ფილოსოფია? რა ინერგობდა მსოფლიო დონის მეცნიერის ნაშრომებში? — ამის გასაანალიზებლად ჩვეულებრივი ჟურნალისტური წერილი საკმარისი არ არის. მაგრამ თუ გადავხედავთ მისი ნაშრომების ჩამონათვალს: „აზროვნების ფორმები და შიგთავსები“, „რაციონალიზმის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები“, „როგორ მესმის ფილოსოფია“, „კარტეზიანული განსჯანი“, „კარტეზიანული ვარიაციები“, „შემეცნების ისარაი“, „ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში“ და სხვანი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფია ადამიანის აზროვნების ხეულებს, ცნობიერების ფენომენს უტრიალებდა.

ამ ლექციების მთავარი აზრის გასაგებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პროფესორ დემურ ჯალაღონიას უნდა დავუვსებოთ მოხსენებიდან, რომელიც 23 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ მერაბ მამარდაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოადგინა:

„შექმნეს ჩემი ხატის სპილენძის ქვაბი. მე შიგ ვიჯექი, ცეცხლი შემინთეს და დავინვი... აი, აქედან მოვახერხე გაქცევა“... დიხს, მან მოახერხა ტოტალიტარიზმიდან გაქცევა და ამიტომ უტრიალებდა იგი ცნობიერების ფენომენს, ამიტომ იყენებდა მისი საყვარელი ფილოსოფოსები პლატონი, დეკარტე და კანტი... ის გაიქცა, მაგრამ მას უნდა ეთამაშა, რადგან თუ არ ითამაშებდა, სოკრატობის საშუალება არ ექნებოდა... ის არსად არ ახდენდა ციტირებას, მაგრამ შენ ისე მოგაქცევდა, რომ მას მიჰყვებოდი... მან შეძლო რაღაც გაეხსნა მსმენელის ცნობიერებაში და ამიტომ თავს ვერ ანებებდი, რადგან შენც ნახე გონებაში რაღაც თავისუფალი“... — აღნიშნა გამოსვლაში დემურ ჯალაღონიამ.

მამარდაშვილის თავისუფლების ფენომენი განსხვავდებოდა ქართველთა ცნობიერებაში არსებული თავისუფლების ცნებისაგან. მას მიაჩნდა, რომ ადამიანი არა მხოლოდ იმპერიისგან, არამედ რადიკალური სტერეოტიპებისგან, ინერციისგან და ცრურწმენისგან უნდა გათავისუფლებულიყო. ამიტომაც იგი შეეცადა 80-90-იანი წლების საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში აზროვნების მუხტი, ფილოსოფიური ტერმინით კი, „გონიერი სანყისი“ შეეტანა. მაშინდელ საზოგადოებას არ ესმოდა, რას მოითხოვდა

იყო წვეთი, რომელმაც პირთამდე გადაავსო მხოლოდ დამოუკიდებლობის იდეის მომხრე ძალები, რომელთაც ვერ შეისმინეს მონოდება: „თავისუფლება — ესაა, როდესაც ერთის დამოუკიდებლობა არ ელოდება მეორის თავისუფლებას და ეს უკანასკნელი პირობად

ფილოსოფიის ინსტიტუტის ის შემადგენლობა, რომლის ორგანიზებითაც მერაბ მამარდაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა



აქვს აღებული!“ იმ დარბაზში მსხდომნი იხსენებენ, რომ მამარდაშვილს დარბაზიდან გასვლა მოკლე გზითაც შეეძლო, მაგრამ მან საყვარელი ჩიბუხის თანხლებით შეგნებულად გადააჭრა მთელი დარბაზი და ბოლომდე უსმინა საკუთარი ერის სტვენას, რათა შეეგრძნო — რა იყო გონიერებისადმი ადამიანთა გაუცნობიერებელი და დაუზოგავი ნინაღმდებობა.

არადა, განა რას ამბობდა ისეთს, რაც არ უნდა დაგვეჯერებინა. განა რა იყო გაუგებარი მის სიტყვებში... მას შემდეგ, კიდევ ათი წელი მაინც, ვერ მივხვდით, საით გვიბიძგებდა მამარდაშვილი...

გოგი გვახარია წერილში „ცრემლიანი სათვალე“ ფილოსოფოსთან დიალოგს იხსენებს: „თქვენ ხომ შეგიძლიათ საზღვარგარეთ ნახვიდეთ, აქ რა გაჩერებთ? — ვკითხე ერთხელ ჩემს საკუთარ სახლში... მე რატომ უნდა ნავიდე ვითომ? ეგენი ნავიდენ თუ კარგია!“ — ეს თქვა და იმის ახსნა დამიწყო, რომ არც იქაა სუფთა ჰაერი, სადაც მე ვუშვებდი“.

... და სტვენითა და ფეხების ბაკუნით უარყოფილი დიდი ქართველი, მოსკოვის აეროპორტში, ისევ საქართველოსკენ მომავალ გზაზე 60 წლისა გარდაიცვალა.

იდგა 1990 წლის ნოემბერი... მამარდაშვილის მოძღვრების უარყოფელ ქართველებს წინომი დაგვრევა ელოდა.

გვიანდა გავიხსენეთ „ქართველი სოკრატეს“ შეგონებები და ახლა ვინცებთ იმის გაანალიზებას, რა ფილოსოფია დაგვიტოვა ანდერძად მერაბ მამარდაშვილმა, რომელსაც ფილოსოფოსობა ბედისწერად მიაჩნდა...

შეცდომის გამოსწორებაც ღირსეული საქმეა. მთავარია, რომ დღეს მივუბრუნდით მერაბ მამარდაშვილს და მის გონს. მისი წვდომა კათარზისის ტოლფასია, რადგან მამარდაშვილი ჩვენ გვყავდა და ჩვენს წინაშე დევს ჯერ კიდევ უცნობი „ქართველი სოკრატეს“ შემეკვიდრებობა. ამ სიმდიდრის „გადამლა-გადაფურცვლას“ შეეცადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დარეჯან თვალთვადემ გახსნა. მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიციანი, რომელმაც აღნიშნა: „აღქმა იმისა, რასაც მერაბ მამარდაშვილი ამბობდა და გვასწავლიდა, მაშინ ძნელი იყო, ამიტომაც მტრები გამოუჩნდნენ და ბევრმა მიინდომა მისი, როგორც პიროვნების და ფილოსოფოსის, განადგურება. მიხარია, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს მაინც ხედავს მნიშვნელობას იმ ადამიანის ღვანისა, რომელმაც შეძლო საზოგადოების ნაწილში საღი აზრი დაემკვიდრებინა. კონფერენციას ბევრი ახალგაზრდა ესწრება. დარწმუნებული ვარ, ისინი დიდი ფილოსოფოსის შემეკვიდრებით დაინტერესდებიან და მომავალში მაინც გამოვასწორებთ იმ შეცდომას, რაც მის წინაშე მისმა თანამედროვეობამ დაუშვა“.

კონფერენციაზე წარმოადგინა 11 მოხსენებაში („ესკიზი პორტრეტისთვის: ჰქონდა კი საერთო სოკრატულ ფილოსოფიასთან მერაბ მამარდაშვილს?“ (დემურ ჯალაღონია), „მერაბ მამარდაშვილი კულტურისა და მეცნიერების მიმართების შესახებ“ (მიხეილ მახარაძე), „მერაბ მამარდაშვილი და კლასიკური ფილოსოფიური ტრადიცია“ (ზაზა შათირიძე), „რა უთხრა მერაბ მამარდაშვილმა ფილოსოფიურ პერიფერიას რუსეთში“ (ირაკლი ბრაჭული), „მერაბ მამარდაშვილი და პოსტმოდერნი (ჟილ დელიოზას მაგალითზე)“ (თეიმურაზ მთიებლაშვილი), „ჰაიდეგა, თამაში, თავისუფლება: სოკრატულ-პლოტინური პარადიგმები“ (ლელა ალექსიძე), „მერაბ მამარდაშვილი ფილოსოფიისა და ფილოსოფოსობის შესახებ“ (გიორგი ბარამიძე), „ჭეშმარიტება და სამშობლო, მერაბ მამარდაშვილი ქართული კულტურის შესახებ“ (აკაკი ყულიჯანაშვილი), „ინტელექტუალისა და საზოგადოების ურთიერთობის მერაბ მამარდაშვილისეული ხედვა“ (ვალერიან რამიშვილი), „აზროვნების თავისუფლება მერაბ მამარდაშვილთან“ (ლერი მჭედლიძე), „აზროვნება და ძალაუფლების ესთეტიკა მერაბ მამარდაშვილთან“ (მამია სურმავეა) დაწვრილებით იყო განხილული და გაანალიზებული მერაბ მამარდაშვილის შემეკვიდრებობა.

„ნუ გავუხსნავთ მოვლენებს წინ. ნუ იფიქრებთ პოლიტიკური კლიშეებით — ვისი მხრიდანაც არ უნდა იყენებდნენ ისინი. დაიწყეთ საკუთარი თავით და საქმით, რადგან ჯერ ისედაც გვაკლია პროფესიონალური ცოდნა და გამოცდილება და თუ ასე ერთი ხელის მოსმით გადავეშვებით პოლიტიკის ალელუბულ ზღვაში, მალევე გავირიყვებით ნაპირზე მშიერ-ტიტველნი და უშეცარნი“

მერაბ მამარდაშვილი

„მერაბ მამარდაშვილს საქართველოში ჩამოყვავა ენერჯია, რომლის გამოც ყველა მის ფილოსოფიაზე საუბრობდა, თუმცა 80 პროცენტს მისი ნაშრომები ნაკითხული არ ჰქონდა... მაშ, რა ფილოსოფიაზე საუბრობდნენ ისინი? სად ჩანდა მამარდაშვილის ფილოსოფიისა, მის პოზიციის? მის არტიკლიზმში? დიხს, ამათშიც... რომ გეკითხათ, მე მის ფილოსოფიას ვერ ვადმოვცემდი, მაგრამ ის ამ ლექციებზე აზროვნებაზე აზროვნებდა, ფილოსოფიაზე ფილოსოფოსობდა და სოკრატობდა...“

მათგან ფილოსოფოსი. ამიტომაც, როგორც ვინჩო მსოფლმხედველობითა და „კერძობითი“ იდეით შეპყრობილ ადამიანთა ჯგუფს ახასიათებს, მას ჯერ მეტისმეტ სიფრთხილში დასდეს ბრალი, მერე კი — არაპატრიოტობაში. მამარდაშვილმა ამ ბრალდებას ჩვეული კატეგორიულობით უპასუხა: „ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე, ძლიერი ამა სოფლისანი — სახელმწიფოს, ნაციისა და საზოგადოების სახელით როგორ თრგუნავენ აზროვნებას. სომხების, ოსების და აფხაზების ღირსების დაცვა შენი, ქართველის ღირსების დაცვაა. მე მათთან ვცხოვრობდი და ვცხოვრობ, არავის აქვს უფლება, ამით ჩემში ქართველობის გრადუსი გაზომოს“ — ეს



ტობდა... ბერძნებს ჰქონდათ ნამების ასეთი საშუალება: სპილენძის ქვაბში ჩასვამდნენ ადამიანს, ცეცხლს შეუნიებდნენ და ის ამ ქვაბში იხრაკებოდა. მამარდაშვილი იტყვის:

ბის ღირსების დაცვა შენი, ქართველის ღირსების დაცვაა. მე მათთან ვცხოვრობდი და ვცხოვრობ, არავის აქვს უფლება, ამით ჩემში ქართველობის გრადუსი გაზომოს“ — ეს

მან შექმნა ეპოქა ფიზიკის ისტორიაში

მეექვსე გვერდიდან

როგორც ნიგნის ავტორი აღნიშნავს: „ალბერტ თავხელიძე იყო განსაკუთრებული პიროვნება, ყველგან და ყოველთვის მართალი, კრიტიკული ბუნების და სულიერების, არაადამიანური შრომის უნარის მქონე პიროვნება, რომელიც ყველაფერს მეცნიერებისა და განათლების ინტერესებს უმორჩილებდა.“

საიუბილეო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი და ალბერტ თავხელიძის ოჯახის ახლობელი რობერტ ადამია, რომელიც თვლის, რომ საქართველოს ისტორიაში ალბერტ თავხელიძე ყველაზე დიდი ფიზიკოსი იყო. „იგი გახლდათ გენიალური, გამორჩეული ნიჭისა და აზროვნების ფიზიკოსი მთელი მისი მოღვაწეობის პერიოდში. სამართლიანი იქნებოდა ველის კვანტური ქრომოდინამიკის ფიზიკის ამ ურთულეს და თანამედროვე დარგში იგი გვერდს უმშვენებდეს ნობელის პრემიის ლაურეატებს: მურეი გელმანს, სტივენ ვაინბერგს, აბდუს

სალამს, ვერნერ ჰაიზენბერგს და სხვას, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს კვანტური მექანიკისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სფეროში.

ბატონი ალბერტის ცხოვრების ბოლო პერიოდის ნამახალისეებელი და უდიდესი სიხარულის მომგვრელი იყო მისი უსაყვარლესი შვილიშვილის მაიკოს ნარმატებები პოეზიაში. ალბათ ბევრს კარგად ახსოვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 12 წლის გოგონას ნიგნის პეზუნტაცია. ეს დღე ალბერტისთვის უბედნიერესი დღე გახლდათ. გასაოცარი იყო ის სიღრმე, ცხოვრებისეული ნიუანსების ფილოსოფიური გააზრება, რაც პატარა მაიკოს ლექსებში იყო წარმოდგენილი“, — ასე გაიხსენა ახლო წარსული აკადემიკოსმა რობერტ ადამიამ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მაიკო თავხელიძის ლექსები წაუკითხა. ასე რომ, დიდი ადამიანების შთამომავლებზე ღმერთი ყოველთვის როდი იხვეწებს...

მოამზადა შურთხია ბეროშვილმა



სტუდენტები

განასჯელი „ჭრილობა“ უნივერსიტეტის სცენაზე

შურის ბარძილი

ამბავი, რომელიც სპექტაკლშია მოთხრობილი, ყველასთვის ნაცნობია: ისინი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობენ; გოგოს და ბიჭს ერთმანეთი უყვართ, ბედნიერ მომავალზე ოცნებობენ, მეგობრებიც ჰყავთ, რომლებიც მათ სიხარულს გულწრფელად იზიარებენ... თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება, მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ ამ ახალგაზრდებს არასწორად ესმით ვაჟკაცობა, სიყვარული, ხოლო ერთი პატარა შეცდომა კი საბედისწეროდ შემოუტრიალდება ყველას... ლამა თაბუკაშვილის პიესის „ჭრილობის“ გმირები სტუდენტებმა ჯერ კიდევ 2008 წელს „გაცივებს“ და შეიყვარეს.

„პრობლემა აქტუალურია — ალბათ ამიტომ უყვართ ახალგაზრდებს ეს სპექტაკლი, რომელიც მათი თხოვნით აღდგა და, როგორც ხედავთ, ამჟამადაც ანშლავით მიმდინარეობს“, — გვითხრა თეატრის ხელმძღვანელმა და რეჟისორმა გოგი გომურაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტ-მსახიობები სპექტაკლს პირველად არ თამაშობდნენ, სცენაზე გასვლის წინ მღელვარებას მაინც ვერ ფარავდნენ. მაყურებლებს განსაკუთრებით მოეწონათ პიესის გმირები:



კახა, (თორნიკე ჯობავა), გია (ბაკურ ყვანია), გოგი (თენგიზ ბეგოიძე), სალომე (სოფო სოლოლაშვილი), ნანა (სოფო ბაჩიაშვილი), ირინა (მარი ოთიაშვილი), მეზოზე (ზაქრო საძაგლოშვილი) და სხვა. თეატრალური დასის ხელმძღვანელის,

რეჟისორ გოგი გომურაშვილის ინფორმაციით, სამომავლო დასი თავის ერთგულ მაყურებელს ახალ სპექტაკლებს შესთავაზებს. სტუდენტური დასი „სხვენი“ ქალაქ თბილისის შერის მიერ დაფინანსებულ პროექტშიც მიიღებს მონაწილეობას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ომის თემაზე შექმნილი თეატრალური ფესტივალის ჩატარება. მასში საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის თქმით, თეატრალური დასი უნივერსიტეტისთვის დიდი მონაპოვარია და მას ხელშეწყობა და ნახალისება სჭირდება.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ყველაფერს აკეთებს, რათა ამ ახალგაზრდებმა თავიანთი ნიჭი გამოავლინონ და მომავალში უკეთესი სპექტაკლებით გაგვახარონ. ჩვენი მხრიდან ვეცდებით, რომ სტუდენტებს საინტერესო კულტურული ცხოვრება ჰქონდეთ“, — განაცხადა ირაკლი ხარჯავანიძემ.

სტუდენტები ამბობენ, რომ თეატრი მათი გატაცებაა და ეს სიყვარული მათ ცხოვრების ბოლომდე გაჰყვებათ.

სტუდენტური გაზეთი

შემოქმედების გზამკვლევი „ლიტერატურული სალონი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველთვის სწავლობდნენ შემოქმედი ადამიანები, რომლებიც არა მარტო თსუ-ში, არამედ მთელ საქართველოში ქმნიდნენ ლიტერატურულ ამინდს. ისინი საზოგადოებაში საკუთარი შემოქმედების რეალიზებას სხვადასხვა პერიოდული გამოცემის საშუალებით ახდენდნენ. იბეჭდებოდა როგორც პოეზიის, ასევე, პროზის ლირებული ნიმუშები, თუმცა, ბოლო წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული გაზეთების გამოცემა შეწყდა. ადევნდა, უკვე ნაკლებად არის ცნობილი იმ შემოქმედი სტუდენტების ვინაობა, რომლებიც, მართლაც, საინტერესო, შინაარსიან ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებებს ქმნიან. მათი ნარმოებისთვის მეტად წარმატებული საუნივერსიტეტო პროექტია „შემოდგომის ლეგენდა“, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს საკუთარი ნიჭისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის შანსი ეძლევათ. ალბათ, კვლავ გამოჩნდება სხვა გზაც მათი რეალიზებისთვის... ამას ადასტურებს ახალად გამოცემული სტუდენტური გაზეთი „ლიტერატურული სალონი“.

ნათო მზოლაქა

საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტუდენტების შემოქმედების გასაცნობად და ახალგაზრდა ავტორების ნასახალისებლად უკვე დაიწყო სტუდენტური გაზეთის „ლიტერატურული სალონი“ გამოცემა. მისი პირველი ნომრის პრეზენტაცია 21 დეკემბერს შედგა.

გაზეთის რედაქტორი ლექსო დორეული „მთავარი რედაქტორის სიტყვაში“ აღნიშნავს, რომ „სარედაქციო კოლეგიის თითოეული წევრი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გაიღებს, რათა სტუდენტთა შემოქმედება საკადრისად გაშუქდეს“. „ლიტერატურული სალონი“ პირველი ნომერი ამ სიტყვების დასტურია — ნარმოებილია სტუდენტების შემოქმედება და, ამავე დროს, ლიტერატურულ სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან სიახლეებზეც არის ინფორმაცია მოცემული.

„როდესაც უნივერსიტეტში მოვედი, დავინახე, რომ უამრავი ნიჭიერი ადამიანი იყო, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, დაეხედათ თავიანთი ნამუშევრები გაზეთში და ასე შემდეგ... სწორედ ამიტომ

გაგვიჩნდა იდეა, რომ დაგვეარსებინა უნივერსიტეტის ლიტერატურული წრე, რომელსაც „ლიტერატურული სალონი“ ეწოდა და შემდეგ ამავე სახელწოდების გაზეთიც გამოგვეცა. როდესაც ლიტერატურული წრის წევრები პირველად შევიკრიბეთ, მივხვდით, რომ გაზეთის დაარსება უკვე აუცილებელი იყო. გაზეთის დაფუძნების იდეას სტუდენტები ისეთი სიხარულით შეხვდნენ, რომ არ შემეძლო დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიმეყვანა. ეს მათთვის, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, მინდა ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ გაზეთის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, არა მარტო თსუ-ისთვის, არამედ, ზოგადად, ქართული ლიტერატურისთვის. სწორედ ახალგაზრდა თაობა არის დასაყრდენი იმ გზისა, რაც, მომავალში, ლიტერატურის განხრით უნდა გაიკვალოს და, რა თქმა უნდა, მათი ნახალისება აუცილებელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს ისეთი შემოქმედებითი ადამიანები, რომელთა ნაწარმოებები ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც მეტაფორული აზროვნებისა და ფილოსოფიური აზროვნების გზაჯვარედინზე მდგომი ადამიანების ფიქრები. ეს ყოველივე ფიქრიანი და ესთეტიკურად დახვეწილი ნაწარმოებებია. უკვე თამამად შემიძლია ვთ-



ქვა, რომ ისინი უკვე დიდ ლიტერატურულ გზას ადგანან“, — გვითხრა გაზეთ „ლიტერატურული სალონი“ რედაქტორმა ლექსო დორეულმა.

გაზეთში 10 რუბრიკაა — „პოეზია“, „პროზა“, „თარგმანი“, „კრიტიკა“, „მრავალუმიერ“, „ინტერვიუ“, „რეპორტაჟი“, „პორტრეტები“ და „ზრები“. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური გამოცემის პირველივე ნომერი განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება და შინაარსობრივად საკმაოდ მდიდარია. მასში დაბეჭდილია სტუდენტების: მერაბ არაბულის, თამარ ზუბიაშვილის, ლევან მაისურაძის, თეა თაბაგარის ლექსები; ნინო სტეფანაძის მოთხრობა — „სახლი“ და სხვა.

გაზეთ „ლიტერატურული სალონი“ სტუდენტების შემოქმედების გარდა, ლიტერატურულ სფეროში არსებული სიახლეების შესახებაც იბეჭდება ინფორმაცია. მაგალითად, სტატიამ სათაურით — „ქართული ლიტერატურის „ოთარანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძის პრემიით დააჯილდოვეს“ ოტია იოსელიანის შემოქმედებითი საღამოსა და მისი დაჯილდოების შესახებ არის მოთხრობილი. რუბრიკაში — „ინტერვიუ“ კი პოეტ რატი ამალოშვილის სტუდენტებთან შეხვედრის მნიშვნელოვან ასპექტებზეა ყურადღება გამახვილებული.

გაზეთში საზღვარგარეთ გამართული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებაც იბეჭდება ინფორმაცია. შემოქმედებითი ჯგუფის ყურადღების მიღმა არც ქალაქ რიგაში ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიება დარჩე-

ნილა. 1 ოქტომბერს რიგის საკონცერტო დარბაზში ლატვიის ორკესტრ „სიმფონიეტასთან“ ერთად სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსებმა კომპოზიტორის ნაწარმოებები შეასრულეს.

როგორც გაირკვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრია ისეთი სტუდენტიც, რომელიც მხატვრობის ნიჭით გამოირჩევა. უკვე გამოიცა „ლიტერატურული სალონი“ მომდევნო ნომერიც, რომელიც მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს გაზეთის დიზაინერის დავით ნადირაძის მიერ შესრულებული ნახატები. ამავე ნომერში პირველად დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ლექსების — „იას უთხარო ტურფასა“, „მერცხლის სიმღერა“ და მოთხრობის — „ფესვები“ ინგლისურენოვანი თარგმანი. ეს თარგმანები თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, თარგმანის ხელოვნების მაგისტრანტ ნინო რამიშვილს ეკუთვნის.

გაზეთი „ლიტერატურული სალონი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებით გამოიცა. გაზეთი თვეში ერთხელ გამოვა და 500 ეგზემპლარად დაიბეჭდება, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტების შემოქმედების მიმართ უნივერსიტეტის გარეთაც დიდი ინტერესი არსებობს, ახლო მომავალში ტირაჟის გაზრდა იგეგმება. გაზეთის საირედაქციო კოლეგია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისგან არის დაკომპლექტებული. ახალგაზრდები აქტიურად მუშაობენ და მუდმივად საინტერესო ავტორების ძიების პროცესში არიან.



უნივერსიტეტი ყველას გვპატივნიებს

„ჩვენ ყველანი ერთი უნივერსიტეტიდან მოვდივართ“, — ამას ამოვბან იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებიც დროს სთავაზობენ განსაკუთრებულ პერიოდს მომსახურებაში, შემდეგ მიუძღვებიან მსოფლიო ომის თვითმხილველს, გერმანიის საგარეო უწყაროს „კლავიკოლა“ პროგრამას და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ და სამხედრო დახმარებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მათი მომსახურებას და შემდეგ უკვე ჩვენი ძველი უახლეს ისტორიაში გამონათებული „მარტინის რევოლუციის“ მომსახურებას დაყოფს და, ჩვენდა საკადნიეროდ, ურთიერთს ვერ დააშორებს. ამიტომ როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ვახსენებთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ დადა უნივერსიტეტის „ფსევდო“ არის ნასაზრდოები. ყველა მათგანს უნივერსიტეტი ერთნაირად აქვდა ევროპული დონის უმაღლეს განათლებასა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობის გაცნობიერებისთვის საჭირო ეროვნულ მუხტს. იყო და გავსა და თსუ-ის კურსდამთავრებული —

უდიდესი პასუხისმგებლობა პრინციპისა და უნივერსიტეტის ღირსეული დაფუძნებლების ხსოვნის წინაშე, რომელთა მამულიშვილობის მაგალითების არდავიწყებით იზრდებოდნენ უნივერსიტეტულთა ყველა თაობა. ეს ფასი რომ ხშირად იღვას ნაყოფს, ამას ადასტურებს უმაღლესი გამოვლენილი ცოდნითა და პიროვნული თვისებებით. უნივერსიტეტისთვის მათი გვერდით დგომა — სიძვირით თუ საქმიანობით უკან მოხრუნველი მაღლია. უკეთეს „კავშირებს“ ვერსად დააბანდებ, თუ არა ახალი თაობის გაზრდაში. ამ მისიის განხორციელებას ხელს შეუწყობს თსუ-ის კურსდამთავრებულთა და მემკვიდრეთა კლუბი. რომელიც ყველა სჯეროს წარმომადგენელს გააპატივნიებს. მათ აქვთ შესაძლებლობა — აქტიურად ჩაერთონ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სახსარს მემკვიდრეთა მუდმივად გააცნონ ინფორმაციას თსუ-ში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, საკუთარი წვლილი შეიტანონ მემკვიდრეთა უნივერსიტეტის განვითარების პროცესში.



პირველი შეხვედრა სასტუმრო „რედისონში“ 23 დეკემბერს მოეწყო. ღონისძიება ცოცხალი მუსიკის ფონზე, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა (ამჟამად კი უკვე არჩეულმა რექტორმა) სანდრო კვიციანი და კურსდამთავრებულთა კლუბის კოორდინატორმა მონიერად სტუმრებს კლუბის ჩამოყალიბებისა და მისი მიზნების შესახებ მიახლოდეს ინფორმაციას. ყველა მათგანმა საჩუქრად თსუ-ის გამოსახულებით პატარა სუვენირი და მისი მისიონერი მიიღო. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა კლუბის ჩამოყალიბების იდეას ყველა სტუმარი დადებითად შეხვდა. საკუთარი განწყობის გამოსახატავად მათ საკუთარი სავიზიტო ბარათები სიმბოლურად დადგმულ პატარა აკვარიუმშიც ჩაყარეს.

დავებმარებით. ჩემთვის სასიხარულო ფაქტია — გვერდში დავედგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო 5 წელი გავატარე“, — განაცხადა გიგი უგულავამ.

„ჩემთვის დიდი პატივია ჩემს მეგობრებთან, ჩემს მასწავლებლებთან და კოლეგებთან ერთად ყოფნა. მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიცია გვიჭირავს და ცხოვრების რა გზას ვადგავართ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული წლები ჩვენ მაინც გვაერთიანებს. ყველა ჩვენგანის ვალია, რომ თსუ-ს გვერდში დავუდგეთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ეს უნივერსიტეტი გაძლიერდეს“, — გვითხრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ.

დროს, თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში პატარა მოედანი იყო. მამაჩემს, ხანდახან, მე და ჩემი ძმა იქ დავყავდით. მახსოვს, უნივერსიტეტს რომ მოვუახლოვდებოდით, მამას თუ ქუდი ეხურა, მოიხდიდა, თუ არა და თავს დაუხრიდა-ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამთავრებული არ ჰქონდა. წლების შემდეგ გამახსენდა ეს და მაშინ მივხვდი, თუ როგორი იყო ქართული ინტელიგენციის დამოკიდებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ,“ — განაცხადა მარიამ ლორთქიფანიძემ.

„თსუ-ის კურსდამთავრებულთა კლუბის დაარსება ასოციაციის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება. ის ხალხი, რომელიც ჩვენთან სწავლობდა, თავის წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის განვითარებაში. ბევრი წარმატებული ადამიანი მოვიდა კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე და იმედი მაქვს, რომ მათი დახმარებით თსუ ბევრს მიადგვს. ჩვენს კურსდამთავრებულებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შემოსვლა და დარეგისტრირებაც შეუძლიათ. გვინდა, რომ უნივერსიტეტი იყოს ის დაწესებულება, რომელსაც ყოველთვის ექნება მეგობრული კავშირი თავის კურსდამთავრებულთა კლუბთან. ძალიან მალე იქნება უნივერსიტეტში მალაზია, სადაც უნივერსიტეტის ლოგოს გამოსახულებით სხვადასხვა ნივთების შექმნა იქნება შესაძლებელი. კიდევ უამრავი რამის გაკეთება არის დაგეგმილი, რომელთა შესახებაც ეტაპობრივად გახდება ცნობილი“, — განაცხადა სანდრო კვიციანი.

„უნივერსიტეტმა იცხოვრა ისე, რომ მას არ აშინებდა განსაცდელი, რომელიც მის წინაშე იდგა. მან იცხოვრა ადამიანური ტკივილებით, ადამიანური იმედგაცრუებებით, ადამიანური სიქველთა. ძალიან ბევრი რამ ნახა ცუდიც და კარგიც და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ერის გადარჩენის საქმეში“, — აღნიშნა პარლამენტის წევრმა ნუგზარ ნიკოლაშვილმა.

თსუ-ის სტუდენტების ნაწილმა უმაღლესი განათლების მიღება საზღვარგარეთ დაასრულა, ძირითადად, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში, სადაც, თითქმის ყველგან, უკვე დიდი ხანია არსებობს კურსდამთავრებულთა კლუბები. ამერიკის ერთ-ერთი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კლუბში განვერსიანებულა თსუ-ის ყოფილი სტუდენტი, ბიზნესმენი სოსო ფხაკაძეც, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად დაარსებულ კლუბს თავისი გამოცდილების გაზიარებასაც შეპირდა.

კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახურის ერთ-ერთი მიზანია.

თსუ-ის კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლის მაისში შეიქმნა. პროექტი USAID/ World Learning Georgia-ს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. USAID-ის ორგანიზებით სამსახურის თანამშრომლებს კურსდამთავრებულთა პროგრამის განვითარებისთვის საჭირო რესურსების შესასწავლად ტრენინგებიც ჩაუტარდა.

„სასტუმრო „რედისონში“ გამართული შეხვედრა, კურსდამთავრებულთა ურთიერთობის განვითარების პროექტის ფარგლებში, პირველი საჯარო ღონისძიება გახლავთ. ჩვენ მომავალში ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას გვეგმავთ“, — აღნიშნა თსუ-ის კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახურის კოორდინატორმა მარიამ ქეჭურიამ.

კურსდამთავრებულთა შეხვედრას დაესწრო თბილისის მერი გიგი უგულავა, როგორც თსუ-ის ერთ-ერთი წარმატებული კურსდამთავრებული. საქართველოს დედაქალაქის მერის პოსტზე მუშაობისას მას, ალბათ, ის საზრდო უფრო ხშირად ახსენებს თავს, რითაც უნივერსიტეტში „გამოიკვება“. როგორც გიგი უგულავამ შეხვედრაზე განაცხადა, იგი აქტიურად ჩაერთვება კლუბის მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში.

„კლუბის ჩამოყალიბება საშუალებას მოგვცემს, რომ ყველა მათგანმა, ვინც თსუ-ში ვსწავლობდით, ერთმანეთი არ დავკარგოთ — ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ რა სახით გავუწევთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დახმარებას, კლუბის მუშაობის ფორმატზე დამოკიდებული. მე დიდი სიამოვნებით მივიღებ მის ყველა საინტერესო შემოთავაზებას“, — გვითხრა სოსო ფხაკაძემ.

თსუ-ის კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნის იდეას აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძეც გამოეხმაურა.

„სასურველია, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ერთად შეკრების საშუალება ჰქონდეთ და ერთმანეთთან კონტაქტი ყოველთვის შეეძლოთ. ჩემი ბავშობის

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა არა ერთი თაობა გაზარდა. ამ შეხვედრას დაესწრნენ ილიას უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე და საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი მანანა სანაძეც მიუხედავად იმისა, რომ ისინი თსუ-ის კონკურენტ უმაღლეს სასწავლებლებს ხელმძღვანელობენ. მათ, როგორც თსუ-ის კურსდამთავრებულებს, უნივერსიტეტთან ბევრი რამ აკავშირებთ. კარგია, რომ ამ კლუბის საშუალებით ჩვენ აქტიური ურთიერთობა გვექნება ერთმანეთთან. კურსდამთავრებულთა კლუბის კოორდინატორების საშუალებით გვეცოდინება, თუ რა სჭირდება უნივერსიტეტს და შემდეგ მას შესაძლებლობების ფარგლებში

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭილაძე, თეა ჯუღელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკომუნიკაციონალი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	გიორგი ნიქარიშვილი		22 36 62